# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 13 იანვარი, 2010 წელი.

№ 6 (6372)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## ერი ნადგურდება, ესაა დამოუკიდებელი საქართველო?



ახალგაზრდობის უმრავლესობას სამუშაო არა აქვს, განადგურებულია ფაბრიკა-ქარხნები, სოფელი გაპარტახებული, უმუშევართა რიგები ყოველდღიურად ივსება, ქვეყნის გადარჩენის გზა და იმედი კი არ ჩანს. 3



## კედლებს პროტესტი ვერ დაანგრევს!.. 2

„Ich bin Berliner!“ (მე ბერლინელი ვარ)

ჯონ კენედი 1961 წლის აგვისტო

„All we will be Georgians!“ (ჩვენ ყველანი ვიქნებით ქართველები)

ჯონ მაკკეინი 2008 წლის აგვისტო

## წყალში გადაყრილი მილიონები



5

პოლიტიკური პარტიების დასაფინანსებლად ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაახლოებით 6 მლნ ლარი იხარჯება



## სიყვარულის ქალაქის შუქ-ჩრდილები 7

## მეწარმეებს ახალი თავსატეხი გაუჩნდათ!



საგადასახადომ ელექტრო-დეკლარაციებით კეკლუცობა მოისურვა 6

## „არ არსებობს მშვიდობა შერიგების გარეშე, არ არსებობს შერიგება დიალოგის გარეშე“! 3

## კობალაძეს „მუხროვანის საქმესთან“ შეხება არ ჰქონდა 5



## ჯანმრთელნი რომ დავრჩეთ, დღეში, სულ ცოტა, 17-ჯერ მაინც უნდა გავიცინოთ 9



სამწუხარია ფრიად...

# კედლებს პროტესტი ვერ დაანგრევს!..

„Ich bin Berliner!" (მე ბერლინელი ვარ)

ჯონ კენედი, 1961 წლის აგვისტო

„All we will be Georgians!" (ჩვენ ყველანი ვიქნებით ქართველები)

ჯონ მაკკეინი, 2008 წლის აგვისტო





**დაძაბული თვეა აგვისტო აღმოსავლეთ ევროპაში.**

**იმდენად დაძაბული, რომ ამერიკელ პოლიტიკოსებს საკმაოდ ემოციური და გულისამაჩუყებელი განცხადებების გაკეთების საშუალებას აძლევს.**

**სამწუხაროდ, მხოლოდ ემოციური განცხადებების გაკეთების საშუალებას.**

1961 წლის აგვისტოში, როდესაც 12-13 აგვისტოს ღამეს ბერლინში კედლის აგება დაიწყო, ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ განაცხადა, რომ „ეს ძალიან ცუდი გადაწყვეტილებაა, მაგრამ ეს ჯოჯოხეთური კედელი უკეთესია, ვიდრე ომი".

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული დროის შემდეგ მან თავისი პოზიცია „გამოასწორა" და დასავლეთ ბერლინელებს სიტყვებით: **„Ich bin ein Berliner!"** (მე ბერლინელი ვარ) მიმართა, ბერლინის კედელი კიდევ 30 წელი საკმაოდ მყარად იდგა.

რა თქმა უნდა, დასავლეთ ბერლინის მოქალაქეები ამ „ბეჯითი პროტესტის" ისევე დიდი მადლობლები იყვნენ, როგორც ჩვენ გვიჩუყდება გული დასავლეთელი მეგობრების „შეშფოთებებზე" (ფრაზა „ბეჯითი პროტესტი" მოვისმინე ტელეკომპანია იმედის გადაცემაში „ღამის შოუ", როდესაც მონაწილენი ასი წლის წინათ გამოცემულ გაზეთებს კითხულობდნენ და თავიანთ სტილში ადარებდნენ დღევანდელ სიტუაციას.

ისტორია მეორდება (სამწუხაროდ).

2008 წლის აგვისტოში ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმაც დაახლოებით მსგავსი „ბეჯითი განცხადება" გააკეთა საქართველო-რუსეთის ომთან მიმართებაში და პენსიაზე გასასვლელად გაემზადა.

ბუშის პოზიცია პრეზიდენტობის კანდიდატმა ჯონ მაკკეინმა გამოასწორა და ამომრჩეველთან ერთ-ერთ წინასაარჩევნო შეხვედრაზე განაცხადა, რომ **„All we will be Georgians!"** (ჩვენ ყველანი ვიქნებით ქართველები).



არჩევნების პერიოდში მისმა ასეთმა აქტიურმა პოზიციამ საერთაშორისო მედიაში საკმაოდ არაერთგვაროვანი შეფასებები გამოიწვია (ნამდვილად არ დავიწყებ იმ მოსაზრებების გამეორებას, რადგანაც ისედაც ყველამ იცით).

რა თქმა უნდა, როგორც პრეზიდენტ კენედის, ასევე სენატორ მაკკეინის მოღვაწეობა უდავოდ დასაფასებელი და ყველა პოლიტიკოსისთვის სამაგალითოა, მაგრამ, როგორც მახსოვს, ბერლინელებს ნამდვილად არ მიუნიჭებიათ გერმანიის ეროვნული გმირის წოდება კენედისთვის.

რაღა დაგიმალოთ და ბატონი მაკკეინისთვის საქართველოს ეროვნული გმირის წოდების მინიჭებამ, რატომღაც „ჩრდილოეთიდან ამოსული მზის" ასოციაცია გამოიწვია ჩემში და ჩემს უამრავ ნაცნობში. პირველად ეგ ასოციაცია ჯორჯ ბუშის სახელობის ქუჩის გახსნის დროს გამიჩნდა (ისე, ამაშიც „აჯობა" საააკაშვილმა შევარდნაძეს და ანგარიში 2:1 გახდა).

ისე, ვინმემ ანტიამერიკულობაში რომ არ ჩამომართვას, ვიტყვი, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში მეც და ბევრ ჩემს მეგობარსაც პრეზიდენტ კენედის ცნობილი ფოტოსურათი გვქონდა საწერ მაგიდაზე დადებული მინის ქვეშ (არა, მანქანებზე KEN ინიციალებიანი ნომრები ნამდვილად არ გვქონიაძ და ჯონ კენედი XX საუკუნის მეორე ნახევრის ყველაზე დიდ პოლიტიკოსად ნამდვილად მიგვაჩნდაძ.

რაღა დაგიმალოთ და ნამდვილად არა მგონია, რომ ამერიკელი სენატორის ვიზიტს რაიმე დიდი ცვლილებები და შედეგები მოჰყვეს როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ასევე, ჯერ კიდევ დარჩენილ ტერიტორიაზე დემოკრატიის დამყარების საქმეში.

რა თქმა უნდა, თუ შედეგებად არ ჩავთვლით იმას, რომ ნათელაშვილმა ამ ვიზიტთან დაკავშირებით პროტესტი გამოთქვა; უსუფაშვილმა, თარგამაძემ, გაჩეჩილაძემ, ასევე ჰაბიტუსითა და აზროვნებით აკაკი მინაშვილის მსგავსმა ბათუმელმა სტუდენტებმა მასთან სურათები გადაიღეს და „კურიერში" გამოჩნდნენ, ხოლო ბოკერია აღფრთოვანებული იყო.

...არც მაკკეინია თავისი გავლენით კენედიზე მეტი, არც მედვედევია ხრუშჩოვზე ნაკლები, ხოლო საქართველო ნამდვილად არ არის ისეთი ქვეყანა, რომელიც თავისი საერთაშორისო რეიტინგით გერმანიის ტოლი იყოს.

სამწუხაროდ, ისტორია მეორდება.

არადა, არც ერთ ქართველს არ უნდა, რომ განმუხურში აშენებული კედლის დანგრევას 30 წელი ელოდოს.

ისე, რა მაგის პასუხია და კედლებს ვერანაირი „შეშფოთება" და ვერანაირი „ბეჯითი პროტესტი" ვერ დაანგრევს.

კედლების ნგრევა მხოლოდ ერთიანობას შეუძლია.

**გია გაბრიჭიძე**

**P. S. ერთ მცირე „ოფიციალურ" განცხადებას გავაკეთებ და ერთ კითხვასაც დავსვამ:**

**— სენატორ ჯონ მაკკეინის (აქ უკვე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ის ოდესღაც აშშ-ს დღევანდელი პრეზიდენტის, ობამას მოწინააღმდეგე იყო თუ... ოდესღაც ნაპალმით ქლეტდა ვიეტნამელ ბავშვებსძ, ვიზიტს ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი არ ესწრებოდა!**

**იბადება კითხვა: — აწ უკვე საქართველოს ეროვნული გმირის „ვიზიტი" შემთხვევით ტურისტული გასეირნება ხომ არ იყო ერთ-ერთ ეგზოტიკურ ქვეყანაში?**

**გ. გ.**

პრეზენტაცია

# ევროკავშირმა ოცი არასამთავრობო ორგანიზაცია შეარჩია

**არასამთავრობო სტრუქტურის განვითარება ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რომელსაც დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება სურს, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. იმ ქვეყნებს, რომლებიც თავისი განვითარების დონით ვერ დაიკვეხნიან და გარდამავალი პერიოდი უდგათ, სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო ინსტიტუტების განსავითარებლად ევროკავშირი ეხმარება და ზეპირ კონსულტაციებთან ერთად ფინანსურ მხარდაჭერასაც უწევს. ტარდება სპეციალური კონკურსები, ტრენინგები საქართველოში დარეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის.**

გასული წლის აპრილში გამოცხადებული კონკურსის შედეგად, 2009 წლის მიწურულს ევროკავშირმა საქართველოში პროექტების განსახორციელებლად 20 ქართული და ევროპული არასამთავრობო ორგანიზაცია შეარჩია. პროექტებისთვის გრანტის სახით გამოყოფილი თანხა — 2,1 მლნ ევრო — მოხმარდება არასამთავრობოთა საქმიანობას ორი პროგრამის ფარგლებში, ესენია „არასახელმწიფო აქტორების და ადგილობრივი ხელისუფლების პროგრამა" (1 120 000 ევროზე მეტით და „დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის ევროპული ინსტრუმენტი" (975 000 ევროძ. პროექტის მეშვეობით გაწეული საქმიანობა მოხმარდება სიღატაკის დაძლევას არასახელმწიფო აქტორების გაძლიერების გზით, ასევე, მდგრად განვითარებას დემოკრატიული თანამონაწილეობის საშუალებით, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული რეფორმების ხელშეწყობას სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერით და კანონის უზენაესობისა და კარგი მმართველობის დამკვიდრებას.

გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტში" გამართულ სპეციალურ ცერემონიაზე ევროკავშირის წარმომადგენლების ხელმძღვანელმა ელჩმა პერ კლუნდმა მედიას 2009 წლის აპრილში სამოქალაქო საზოგადოებისთვის თბილისში გამოცხადებული ორი საგრანტო კონკურსის გამარჯვებული 20 არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთაგან 18 ქართულია, წარუდგინა. როგორც განაცხადეს, გამარჯვებულები მკაცრი კრიტერიუმების საფუძველზე შეირჩნენ. საგრანტო დახმარების სახით გამოყოფილი თანხა 2,1 მლნ ევროს აღემატება და ის პროექტების ფარგლებში განსახორციელებელ მრავალფეროვან საქმიანობას მოხმარდება, — მაგალითად: საგამოძიებო ჟურნალისტიკის მხარდაჭერა, უმცირესობათა ჯგუფებისა და დევნილთათვის საგანმანათლებლო ღონისძიებების გაუმჯობესება, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის პრევენციისთვის გატარებული რეფორმების მხარდაჭერა, დღის ცენტრების ხელშეწყობა დაუცველი ბავშვებისთვის, სოციალური დიალოგის მექანიზმის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო მართვაში ადგილობრივი თემის მონაწილეობის ხელშეწყობა და ა. შ.

— ევროკავშირი გააგრძელებს ამ ტიპის პროექტების დაფინანსებას, რადგან, გამოცდილებამ ცხადყო, რომ მცირე, ადგილზე განხორციელებული პროექტების შედეგები უფრო იოლი დასანახია, მილიონობით ევროს ღირებულების ცენტრალიზებულ პროექტებთან შედარებით, — **განაცხადა პერ კლუნდმა.**



გამარჯვებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაფორმებულია საგრანტო ხელშეკრულებები, მაგალითად, როგორიცაა ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური და პროფესიული შესაძლებლობების გაუმჯობესება, ნებისმიერ საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა, გამოხატვის თავისუფლების, მათ შორის მედიის თავისუფლების ხელშეწყობა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „არასახელმწიფო აქტორებისა და ადგილობრივი ხელისუფლების განვითარების პროგრამა" ხელს უწყობს დემოკრატიულ განვითარებას საზოგადოების მონაწილეობით, ასევე არასახელმწიფო აქტორებს და ადგილობრივ ხელისუფლებას, მიიღონ ხანგრძლივ ვადაზე გათვლილი გადაწყვეტილებები, რომლებიც მართლაც მნიშვნელოვან საკითხებს შეეხება. პროგრამები „აქტორებზეა" ორიენტირებული, რაც ნიშნავს, რომ პროგრამაში მონაწილე ორგანიზაციები არჩევანის მაქსიმალური უფლებით სარგებლობენ და ევროკომისიის ნაცვლად ისინი ირჩევენ მოღვაწეობის სფეროს.

რაც შეეხება, ასევე ევროკავშირის დაფინანსებულ „ინსტრუმენტი ევროპული დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის", ის 1994 წელს შეიქმნა. მისი მიზანია მხარი დაუჭიროს და დაიცვას დემოკრატია, ადამიანის უფლებები ევროკავშირის საზღვრებს გარეთ, მთელს მსოფლიოში. პროგრამის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 100 მილიონი ევრო გამოიყოფა.

ალბათ, გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაციები, ხელშეკრულებების დადებისთანავე შეუდგებიან თავიანთ არჩეულ სფეროებში მოღვაწეობას და იმედია, კეთილშობილური მიზნების განხორციელებასაც ბოლომდე მიიყვანენ.

**ანა წიწილაშვილი**

SOS!

# ერი ნადგურდება, ესაა დამოუკიდებელი საქართველო?

**იმ დილით შინიდან გამოსულმა ფალიაშვილის ქუჩის მიმდებარე ტყე-პარკი მოკლეზე გადავჭერი. ირგვლივ ყველაფერი თრთვილს დაეფარა. დილის მზის სხივებზე ბრწყინავდა არემარე. იქვე საზაფხულო ვერანდაზე, სადაც „არყისტების" ბირჟაა, ჯერ საპატრულო მანქანების სიმრავლემ შემაკრთო, შემდეგ თვით პოლიციელების ფუსფუსმაც გამაკვირვა. რა ხდება-მეთქი, სანამ ვიკითხავდი, იქვე ფილაქანზე დაგდებული მკვდარი მამაკაცი დავინახე. შევცბუნდი, ფეხშიშველა, რაღაც ძონძებში გამოხვეულ მიცვალებულს თვალი ავარიდე და გზა განვაგრძე.**

ცოტათი რომ დავშორდი, ჩემმა საქციელმა შემაშფოთა. ასე რამ გამაცივა, რამ გამიყინა გული, ნუთუ მეც ნაცების სისხლი ჩამიდგა ძარღვებში?! არადა, არც კი ვიკითხე მისი ვინაობა. იქნებ ნაცნობიც იყო, ყოფილი მეტალურგი, ქიმიკოსი ან მშენებელი, რომლისთვისაც არაერთხელ შემისხამს ქება, როგორც თავდადებული მშრომელის, კარგი მამულიშვილის, მეოჯახისათვის...

ეს მხოლოდ ერთი შემთხვევა რომ იყოს, ჩვენისთანა პატარა ერისთვის, მაინც დიდი უბედურებაა. ახლა ჩვენთან ხომ ყოველდღე ათობით ადამიანი უპატრონოდ იღუპება და ამას ისე შევეჩვიეთ, აღარც ვრეაგირებთ. ამ დროს პრეზიდენტი მილიონებს ხარჯავს კონცერტებისათვის...

მე კარგად მახსოვს ის ომი, მაშინ სამამულოს რომ ეძახდნენ, რომელსაც მამაჩემი და კიდევ 300 ათასზე მეტი ქართველი შეეწირა, მაგრამ არ მაგონდება ჩვენებური კაცი მათხოვარი, მაწანწალა, ქუჩაში მიგდებული. იმ სტალინმა, დღეს რომ ხალხის მტრად აცხადებენ, მაშინ გვითხრა, ჩვენ გავიმარჯვებთო, მომავლის რწმენას გვაზიარა და ასეც მოხდა. მართალია, იმ ომში გამარჯვება დიდი მსხვერპლის ფასად დაგვიჯდა, მაგრამ მალე ფეხზე დავდექით, უკვე საუკუნის ბოლოსთვის 5-მილიონიან საქართველოში 3 მილიონ 664 ათასი ქართველი პატრონობდა სამშობლოს, ქვეყანას.

დღეს კი...

ქუჩაში ისე ვერ გაივლი, ნაგვის ყუთთან მოწრიალე ასაკიანი კაცი ან ქალი არ შემოგეფეთოს. ქალაქში მათხოვრებს გვერდს ვერ აუვლი...

კი, ბატონო, ხელისუფლებას თავისი ალიბი აქვს, გადამთიელ სატანებს სულმიყიდულნი მეთოდურად სპობენ და ანადგურებენ ქართულ სოფლებს, დასახლებებს, ეკონომიკას, მეცნიერებას, ხელოვნებას, ქართული გენის განსაკუთრებულ ნიჭიერებას. აკი, დიდი მეცნიერი და მამულიშვილი გრიგოლ წერეთელი ბრძანებს, რომ **„საქართველოს ბუნების თავისთავადობის არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება სარკესავით ირეკლება ქართველი კაცის ხასიათში, მის კოლხურ-იბერიულ ეთნიკურ ჰარმონიაში იმ ზომამდე, რომ ვერსად იპოვით ფიზიკური და ფსიქიკური თავისებურებებით ერთმანეთთან ასე ადაპტირებულ ტიპებს."** ამ მადლიანმა მიწა-წყალმა არაჩვეულებრივმა ბუნებამ განაპირობა ქართველთა ორიგინალური ჯიშიო, დასძენს მეცნიერი, რასაც გაფრთხილება უნდა, თორემ ამით მთლიანად კაცობრიობა დაზარალდებაო...



ალბათ, ამ გამორჩეულობისათვის გვმტრობენ სოროსი და გამოსოროსებული ნაციონალები, ერის სულგაყიდული მოღალატენი, ამიტომ რყვნიან ახალგაზრდა თაობებს. კი, ბატონო, მათი სურვილი და მიზანი გასაგებია, მაგრამ სადაა ეროვნული ძალები, ოპოზიცია და მისი ბელადები?

ჩემს ეჭვებს საფუძველი აქვს, მე ხომ არც ერთი საპროტესტო მიტინგი არ გამომიტოვებია, ყოველთვის იქ ვიდექი, სადაც ჩემი ერის საუკეთესო ნაწილი იდგა. თვით იმ ავბედით ვარდების რევოლუციის ჟამს, რომლის ორგანიზატორებმაც ასე გვიმუხთლეს.

მაგრამ ხომ იყო იპოდრომის 200-ათასიანი თავყრილობა, დინამო სტადიონის 100-ათასიანი მღელვარე შეკრება. ყოველივე ამან ფუჭად რატომ ჩაიარა?

მე გამკვირვებია კახა შარტავასი, მართალია წინა არჩევნების დროს მას ნაცების მიერ შეგზავნილმა ვიგინდარებმა უმუხთლეს, მაგრამ რუსთაველებმა საჭიროზე მეტი ხმა გაიღეს მის სასარგებლოდ და თუ ის გაყალბდა, ეს რა ამომრჩევლის ბრალია? რუსთაველები დღესაც ისევე აღმერთებენ ქვეყნის ეროვნულ გმირს ქიული შარტავას და მისი ვაჟის მიმართაც დიდი ნდობა აქვთ. ბატონმა კახამ კარგად უწყის რუსთავის სამრეწველო პოტენციალის ავან-ჩავანი, რომ ამ ქალაქს მეტი ყურადღება სჭირდება, მაგრამ როგორც ფორუმმა, ისე ყველა ოპოზიციურმა პარტიამ თითქოს პირი შეკრესო, რუსთავი და რუსთაველები გარიყეს მაშინ, როდესაც ერის სიამაყეს, მეტალურგიულ კომბინატს თვალსა და ხელს შუა გვპარავენ.

და ბოლოს, ერს კი ვუკიჟინებთ, გამრავლდი, გამრავლდიო, უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ძალისხმევით, ბოლო დროს ახალშობილთა მატება მართლაც შეინიშნება, მაგრამ დღევანდელი თაობა ხომ განწირულია. ახალგაზრდობის უმრავლესობას სამუშაო არა აქვს, განადგურებულია ფაბრიკა-ქარხნები, სოფელი გაპარტახებული, უმუშევართა რიგები ყოველდღიურად ივსება, ქვეყნის გადარჩენის გზა და იმედი კი არ ჩანს.

მაინც რას ველით ოპოზიციისგან?

**გივი ჯახუა**

*P. S. რაკი სამშობლოსთვის შეწირული მეცნიერის ციტატა ზემოთ მოვიყვანეთ, ამ წერილს მისივე ნააზრევით დავასრულებ: „ქართველობა ორიგინალურ გენოტიპად ჩამოყალიბდა... ამიტომ ქართველი ერის ახლოს გაცნობისას ლოგიკურად გეუფლება აზრი, რომ აუცილებელია ამ თავისებური ეთნო-გენოტიპის, როგორც სახეობის, დაცვა და გამრავლება, რომ შენარჩუნდეს ათასწლობით ნაწარმოები მისი ორიგინალური ჯიში, რადგან ამ მიმართულებით მცირეოდენი გადახრაც კი საფუძვლიანად არღვევს საუკუნეთა მანძილზე დახვეწილი გენოტიპის ბუნებრივ ჰარმონიას და მისი თვითმყოფადობის აღდგენა შემდეგ შეუძლებელი ან თითქმის შეუძლებელი ხდება."*

*რა თქმა უნდა, ნაციონალებს ეგ არ ეხება, ისინი უკვე გადახრილები და ქართული გენის კალაპოტიდან ამოვარდნილები არიან.*

***გ. ჯ.***

ინფორმაცია



## სახუმაროდ აქვს საქმე პრეზიდენტს, ანუ რამ გაანაწყენა ვეფხვაძე?

**საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი ლევან ვეფხვაძე პრეზიდენტს პარლამენტის მიმართ არაკორექტულობაში ადანაშაულებს, უმრავლესობა კი ვეფხვაძეს იუმორის გრძნობას უწუნებს.**

**ამასთან დაკავშირებით განცხადებები გუშინ ბიუროს რიგგარეშე სხდომაზე მას შემდეგ გაკეთდა, რაც ლევან ვეფხვაძემ პრეზიდენტის მიმართ საყვედური გამოთქვა.**

**ვეფხვაძის პროტესტი იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ პრეზიდენტმა ცესკოს კომისიის თავმჯდომარის არჩევის ვადებთან დაკავშირებით პარლამენტი არაკორექტულად მოიხსენია.**

**— არასერიოზულია საუბარი იმაზე, რომ თითქოს ბახუსი და ახალი წელი ხელს უშლის კანონის შესრულებას, — განაცხადა ვეფხვაძემ და ის ფაქტი გაიხსენა, როდესაც პრეზიდენტის ორივე არჩევნები სწორედ ახალი წლის დღეებში ჩატარდა.**

**— მაშინ არც ბახუსსა და არც ახალ წელს პრეზიდენტისთვის ორჯერ გამართული წინასაარჩევნო კამპანიისთვის ხელი არ შეუშლია, — განმარტა ვეფხვაძემ.**

**ოპოზიციონერი დეპუტატის ამ განცხადებას უმრავლესობიდან ელდარ კვერნაძე ბიუროს სხდომაზევე გამოეხმაურა და კოლეგას იუმორის გრძნობა დაუწუნა.**

**შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტმა პარლამენტს უსაყვედურა იმის გამო, რომ ცესკოს თავმჯდომარის შერჩევისა და არჩევის ვადები დღესასწაულებს დაემთხვა.**

ჯი-ეიჩ-ენი

ურწმუნოთა გასაგონად

# „არ არსებობს მშვიდობა შერიგების გარეშე!, არ არსებობს შერიგება დიალოგის გარეშე"!

**არასამთავრობო ორგანიზაციის „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები" (ხელმძღვანელი რეზო ბენდელიანი) ინიციატივითა და ძალისხმევით წალენჯიხის რაიონის ენგურს გაღმა სოფელ ჭალეში შედგა შეხვედრა ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების წარმომადგენლებსა და ქართველ და აფხაზ ნათესავებს შორის, რომელთაც შეუძლიათ დიდი როლი ითამაშონ ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული დაპირისპირების მოგვარებაში. შარშან ანალოგიური შეხვედრები ჩატარდა ზუგდიდის რაიონის ენგურისპირა სოფლებში.**

ამ შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ გალის რაიონის სოფელ საბერიოდან არალეგალურად გადმოსულნი და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები. ამ შეხვედრის წამყვანმა, გამოცდილმა ტრენერმა ქალბატონმა ქრისტინა კილანავამ თავისი გონებამახვილური საუბრითა და დასმული კითხვებით აალაპარაკა შეხვედრის ყველა მონაწილე. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო დიალოგი ევროკავშირის წარმომადგენლებსა და შეხვედრის დანარჩენ მონაწილეებს შორის. ევროკავშირის წარმომადგენლები ძალიან დააინტერესა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულმა ვითარებამ, ვინაიდან ესენი იქ ვერ შედიან და ამიტომაც ვერ ფლობენ რეალურ სიტუაციას და შეხვედრის მონაწილეებს ანონიმურობის დაცვას შეპირდნენ. „გალის რაიონის ზედა ზონის სოფლებში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ ვითარებას მთლიანად რუსები აკონტროლებენ. აფხაზებს არავინ არაფერს არ ეკითხება. ძალიან ჭირს გადმოსვლა წალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე, რუსებს სურთ ყველამ ცენტრალური გადასასვლელით ვისარგებლოთ, სადაც ძალიან დიდი გადასახადია გადასახდელი და ასევე სოხუმის მიერ გაცემული სპეციალური საშვი უნდა გაგვაჩნდეს, ამიტომაც ჯერჯერობით არალეგალური გადასასვლელებით ვსარგებლობთ, ახლაც თქვენთან მალულად მოვედით. როდემდე გაგრძელდება ასე არ ვიცით" — აღნიშნეს შეხვედრის მონაწილეებმა. ხოლო სოფელ ჭალეში მცხოვრებმა ერთ-ერთმა დევნილმა ქალბატონმა ისიც განაცხადა, რომ დეკემბრის თვეში ჭალეს ტერიტორიაზე მანქანით მოსეირნე რუსი ჯარისკაცები შენიშნა, რომლებიც ხელის აწევითაც მიესალმენ მას და მის პატარა შვილს. ამ განცხადებამ ევროკავშირის წარმომადგენლების გაკვირვება გამოიწვია.

ქალბატონმა ქრისტინა კილანავამ შეხვედრის მონაწილეებს ასეთი კითხვაც დაუსვა „რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ და რა უნდა გააკეთოს ევროკავშირმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოსაგვარებლად"? პასუხები ასეთი იყო. ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს დიალოგის დაწყებას ქართველებსა და აფხაზებს შორის, პირველ რიგში სახალხო დიპლომატიის გზით, და აუცილებლად უნდა მოაგვაროს ურთიერთობა რუსეთთან. ევროკავშირმა კი გამოიჩინოს მეტი აქტიურობა და მოახდინოს ზეწოლა რუსეთზე, რათა შეწყვიტონ ადამიანის უფლებების შელახვა.

ზუგდიდში თუ წალენჯიხაში გამართული შეხვედრებიდან აშკარად გამოიკვეთა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ომის გზით მოგვარების დაუშვებლობა. „მხოლოდ მშვიდობა და დიალოგი მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე", ასეთი იყო შეხვედრის მონაწილეთა საერთო აზრი. ამიტომაც ამ შეხვედრის დევიზიც ასეთი იყო: **„არ არსებობს მშვიდობა შერიგების გარეშე, არ არსებობს შერიგება დიალოგის გარეშე"** და როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ამ შერიგებისა და დიალოგის პროცესში, პირველ რიგში, უმთავრესი როლი სამეგრელოს აკისრია. გალის რაიონის მაღალი ზონის სოფლის მცხოვრებთ და ენგურის გაღმა-გამოღმა სოფლებში განთავსებულ დევნილებს ძალიან უჭირთ ზუგდიდში ჩამოსვლა, ამიტომაც გამოითქვა მოსაზრება წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავაში, რომელიც ასევე ენგურს გაღმა მდებარეობს და უშუალოდ ესაზღვრება გალის რაიონის სოფელ საბერიოს, გაიხსნას ბაზრობა, სადაც როგორც დევნილებს, ისე ადგილობრივ მცხოვრებთ შეეძლებათ მათთვის სასურველი პროდუქტის შეძენა.

**„ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების" ხელმძღვანელი რეზო ბენდელიანი ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით სწორედ სოფელ მუჟავაში თებერვლის თვეში აპირებს უფრო ფართომასშტაბიანი შეხვედრის მოწყობას.**

**ლადო ქირია.**

ზუგდიდი.

კერძო აზრი

# მიზეზი და შედეგი: სად იღებს სათავეს კატასტროფა?

## ერი და საზოგადოება

ქართული სახელმწიფოს დაშლა, ცხადია, გარე ძალების დაგეგმილია, მაგრამ გარე ძალებისთვის შიდა ძალებსაც რომ არ გაეადვილებინათ საქმე თავიანთი უვიცობით თუ გამყიდველობით, გარე ძალებს გაუჭირდებოდათ განეხორციელებინათ თავიანთი გეგმები. ამიტომ ამბობს პოეტი: „ყველაფერი ჩემი თავიდან არის“. დიახ, მიზეზი ჯერ საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ! ქართული სახელმწიფოს დაშლის მიზეზი, რა თქმა უნდა, პროვინციული ეთნოპატრიოტიზმია, რაც ეთნონაციონალიზმად აღიქვეს ოსებმა და აფხაზებმა (სხვა „არაქართველებმაც“, მაგრამ გარე ძალას ჯერ მათთვის არ მოუცლია) და სეპარატისტულად განეწყვნენ ქართული სახელმწიფოს მიმართ.

ბაშკირი ისტორიკოსის რუსტემ ვახიტოვის თვალთახედვით, „სამხრეთ ოსეთში თავისი აგრესიის შედეგად საქართველოს სახელმწიფომ ზარალი განიცადა, რის შედეგადაც იგი ძნელად რომ ოდესმე გასწორდეს წელში. ძნელია დაიჯერო, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი როდისმე მოისურვებენ ოფიციალური თბილისის იურისდიქციის ქვეშ დაბრუნებას. არ არის გამორიცხული, რომ ეს იმ სახელმწიფოს დაშლის დასაწყისია, რომელიც წარმოიშვა საქართველოს სსრ-ის მიწაზე 1991 წელს. თავისი სახელმწიფოებრიობის კატასტროფაში საქართველოს ხელმძღვანელობა რუსეთს ადანაშაულებს. თუმცა ცხადია, რომ, თუ საქართველო იქნებოდა სტაბილური სახელმწიფო ეთნოსთაშორისი ურთიერთობის ეფექტიანი მექანიზმებით, ეს არაფერი არ მოხდებოდა... ამაში დამნაშავეა არა ვინმე სხვა, არამედ თავად თბილისის პოლიტიკური ისტებლიშმენტი. არ ღირს იმაზე საუბარი, რომ ამის მიზეზი სააკაშვილის ფსიქიკური არაადეკვატურობაა. ასეთ პრიმიტიულობაზე მითითებით გამოდის, რომ, თუ „შეურაცხადი სააკაშვილის“ ნაცვლად ვინმე სხვა, „შერაცხადი“ მოვა, მაშინ ყველაფერი კარდინალურად შეიცვლება. მაგრამ ეს შეცდომაა. საქმე ისაა, რომ პრაქტიკულად მთელ ქართულ და პოლიტიკურ ელიტას და უმეტესწილად ქართულ საზოგადოებას ამოძრავებს სრულიად გარკვეული იდეა... ამ იდეის სახელია - ქართული პოლიტიკური ეთნონაციონალიზმი“.

ბ-ნი რუსტემის შეფასება, გვინდა მოყვრის მიერ პირში ძრახვად მივიღოთ, გვინდა მტრის მიერ ნიშნის მოგებად, უთუოდ არის ჭეშმარიტების მარცვალი. ციტატის ავტორს 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგი აქვს მხედველობაში, როცა ხსენებული რეგიონები დე იურე დაიკარგა, მაგრამ ფაქტობრივად სამხრეთ ოსეთი“ 1991 წელს, ხოლო აფხაზეთი 1993 წელს გამოეყვნენ საქართველოს. ერთ რამეში შეიძლება არ დავეთანხმოთ მას: თითქოს ჩვენი საშველი არ იყოს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ საქართველოში არსებობს განსხვავებული სულისკვეთებაც, რომელმაც შექმნა „საქართველო“ და რომელსაც მეტროპოლიტანური პატრიოტიზმი შეიძლება ეწოდოს, თუმცა ეს დიდი პრობლემაა: ამისათვის ილია ჭავჭავაძის გაცოცხლება დაგვჭირდება, რასაც მისი მკვლელები არ დაგვანებებენ. პროვინციალს ურჩევნია დაიღუპოს, ვიდრე მეტროპოლიტანმა გადაარჩინოს. თვითონ კი ვერასოდეს მეტროპოლიტანურდება.

სავსებით მართალია ბ-ნი შოთა ნადირაშვილი, როდესაც ამბობს, რომ „განწყობა არის უმთავრესი, განწყობა ამოქმედებს სახელმწიფოებსა და ადამიანებს. ჩვენ რომ განწყობის ფსიქოლოგია და ფილოსოფია გვცოდნოდა, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს (ისე, არც ტერმინი „სამაჩაბლო“ იწვევს დადებით განწყობას ოსებში – **ო.ხ.**) არ დავკარგავდით. ნაცვლად იმისა, რომ აფხაზებისა და ოსების მიმართ დადებითი განწყობა გამოგვევლინა და მათი კეთილგანწყობის მოპოვებაზე გვეზრუნა, გადავწყვიტეთ ომით მოგვეგვარებინა ეს პრობლემა... თუ მკითხავთ, განწყობა არის ის ძალა, რომლითაც არსებობს სამყარო!!!“

მაგრამ რა ქმნის განწყობას და რამ შეუქმნა აფხაზებსა და ოსებს უარყოფითი განწყობა ქართველების მიმართ და პირიქით? საზოგადოების განწყობას, რა თქმა უნდა, ინტელექტუალები ქმნიან - მწერლები, რეჟისორები, ისტორიკოსები, ჟურნალისტები და ა.შ., რომლებიც თავიანთი შემოქმედებით ადამიანების გრძნობებზე მოქმედებენ და მათს სულიერ წყობას აყალიბებენ. ამიტომ უწოდა სტალინმა მწერლებს „ადამიანის სულის ინჟინრები“. თუმცა გააჩნია, ვინ როგორი ინჟინერია: კონსტრუქტორი თუ დესტრუქტორი. მწერალს, რომელიც დადებითად განაწყობს ადამიანებს ერთმანეთის მიმართ, ინჟინერ-კონსტრუქტორი შეიძლება ეწოდოს; მას კი, ვინც უარყოფითად განაწყობს მათ ერთურთისადმი, – ინჟინერ-დესტრუქტორი.

რა განწყობაზე დააყენებდა, მაგალითად, ოსებს ქართველების მიმართ ან პირიქით - მწერალ მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ წაკითხვა? ავტორი ტრაგედიას ხედავს იმაში, რომ ოსმა ჯაყომ დუქანი გახსნა და თავისი ყოფილი ბატონი თეიმურაზი მოჯამაგირედ დაიყენა: ოსმა ქართველი მოჯამაგირედ რატომ დაიყენაო? თუ არ უნდოდა, ნუ დაუდგებოდა, ძალით ხომ არ დაიყენა ჯაყომა?! ყმამ ბატონს რატომ აკადრა მოჯამაგირეობაო? ვეჟო, ბატონყმობა გადავარდა და, აბა, ბატონი ისევ ბატონი ხომ არ იქნებოდა და ყმა - ისევ ყმა?! დუქანი თეიმურაზს გაეხსნა და მოჯამაგირედ ჯაყო დაეყენებინაო! დუქნის გახსნას შრომა და ცოტა კადრებაც უნდა და – შრომითა და კადრებით, აბა, ბატონი როგორ მოვიდოდა ყმასთანა?! ქართველ მედუქნეს მაინც დასდგომოდა, ოსს რატომ დაუდგაო? მაგრამ მედუქნე მედუქნეა, ქართველი იქნება თუ ოსი. ქართველებში ცოტანი არიან ჯაყოები?! ქართველი ჯაყო ვითომ უფრო დაინდობდა მარგოსა?! ისე, სად ოსი და – სად მედუქნე?! სომეხი რომ ეთქვა – კიდევ ჰო! თუმცა ან სომეხმა რა დააშავა, კაპიტალიზმია და ვისაც უნდა დუქანს გახსნის, ვისაც უნდა მოჯამაგირედ დადგება, თავის უფლებაა. ხოლო თუ კაპიტალიზმი და დუქნური თავისუფლება არ გვინდოდა, სოციალიზმი იყო, იმას რაღას ვერჩოდით? აა, თანასწორობა არ გვინდოდა! „მესმის, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითაც ხარ ნაჩხვლეტი“, მაგრამ ბატონყმობას ხომ ველარ აღვადგენთ, დროს უკუღმა ხომ ვერ ვუზამთ პირს?! ყველა ყველა, მაგრამ ოსი ჯაყო რა შუაშია, ჯაყომ ხომ არ გადააგდო ბატონყმობა?!

თუ ქართველ მწერალს ოსი ჯაყოს მიმართ ასეთი აპრიორული უარყოფითი განწყობა აქვს, ბატონებს ზვიად გამსახურდიასა და მიხეილ სააკაშვილს საიდან ექნებოდათ ოსების მიმართ დადებითი განწყობა?! ხოლო თუ მათ გულზე არ ახატიათ ოსები, ოსებისაგან რაღატომ ვითხოვთ, რომ გულზე ეხატოთ ისინი?! რაც შეეხება ხალხებს, ბუნებრივად არც ქართველებსა აქვთ უარყოფითი განწყობა ოსების მიმართ და არც ოსებს ქართველების მიმართ, მაგრამ ან ერთს ვინ რას ეკითხება ან მეორეს?! საქართველოში ოსიც ქართველია და სომეხიც, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს ჭეშმარიტება არ ესმით არა მარტო პროვინციულად მოაზროვნე ჩვენს პოლიტიკოსებს, არამედ ბევრ ჩვენს ინტელექტუალსაც. პირველთა პროვინციალიზმი განაპირობებს ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოს დაშლას; მეორეთა პროვინციალიზმი განაპირობებს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის უპერსპექტივობას.

ეთნოპატრიოტული ცდომილების სათავე ერის მთლიანობის ვერწვდომაშია, მისი საჯილდაო ქვა კი ენაა. ნიშანდობლივია, რომ ეთნოპატრიოტული მოძრაობა (თვალის ასახვევად „ეროვნული მოძრაობა“ რომ ერქვა) ოცი წლის წინაც „ქართული ენის სტატუსისათვის“ ჯილდაობით დაიწყო. საქმე ის არის, რომ ენა თავიდან ეთნიკური მოვლენაა და მხოლოდ ერად ჩამოყალიბების პროცესში ხდება იგი ეროვნული. ერი, როგორც წესი, ეთნოსებისაგან შედგება. ამისათვის სჭირდება მას სახელმწიფო. ეთნოსს სახელმწიფო არ სჭირდება, იგი თემითაც იოლას გადის. თემის საყრდენი ტრადიციაა, რაც მშვენივრად არეგულირებს თემურ ურთიერთობებს. ერის როგორც მრავალეთნიკური მოვლენისათვის იმიტომ არის აუცილებელი სახელმწიფო, რომ ეროვნული ურთიერთობები ველარ რეგულირდება ტრადიციებით და საჭირო ხდება კანონი. ტრადიცია მხოლოდ თემის წევრებისათვის არის გასაგები, ერის წევრებისათვის გაუგებარია. კანონი კი ყველასათვის არის გასაგები. ყველაზე დიდი, რისი უფლებაც შეიძლება ჰქონდეს ეთნოსს, ეს ავტონომიაა, რადგან ეთნიკური სახელმწიფო ქიმერას ემსგავსება და ეთნოსთაშორისი კონფლიქტების მიზეზი ხდება. ეთნიკური სახელმწიფოებია, მაგალითად, ისრაელი, სომხეთი, აზერბაიჯანი, დღევანდელი საქართველო და ყველა პოსტსაბჭოთა და პოსტიუგოსლავური „სახელმწიფო“. ამ თვალსაზრისით, დესტრუქციული მოვლენები იყო არა მარტო საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის სახელმწიფოების დაშლა, არამედ აგრეთვე ინგლისის პროტექტორატის გაუქმება პალესტინაში. ვლადიმირ პუტინმა საბჭოთა კავშირის დანგრევას კატასტროფა უწოდა, რაც მართალია იმ აზრით, რომ ადამიანი უფრო თავისუფალი და ბედნიერია დიდ სახელმწიფოში, თუ იგი წესიერი და ნორმალურია, ვიდრე მცირე ეროვნულ სახელმწიფოში, თუმცა ზოგიერთი „პატრიოტის“ აზრით,



მთავარი „ერის თავისუფლება და ბედნიერებაა“ და არა ადამიანის თავისუფლება და ბედნიერება. მაგრამ პუტინს არ უთქვამს, რამ გამოიწვია კატასტროფა. არადა, საბჭოთა კავშირის კატასტროფის მიზეზიც იგივე გახლდათ, რაც საქართველოსი: ხრუშჩოვისა და ხრუშჩოველი გორბაჩოვის მიერ საბჭოთა „ინტერნაციონალიზმის“ (პატრიოტიზმის!) რუსული „ნაციონალიზმით“ (ეთნოპატრიოტიზმით!) ჩანაცვლება.

ილია ჭავჭავაძის გაგებით, ერი ისტორიული ფენომენია და არა ოდენ ენობრივი და რელიგიური: „არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა“. ტრაიბალიზმსა და სეპარატიზმს, როგორც ანტიეროვნულ მოვლენებს, საერთო ცდომილება უდევს საფუძვლად: ერის მთლიანობის ვერგაგება. ტრაიბალიზმი იმით არის სეპარატიზმზე უარესი, რომ თუ სეპარატიზმი ერისაგან განკერძოებას ცდილობს და ძირს უთხრის სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, ტრაიბალიზმი, როგორც უცხო სხეული, ერის სულში იჭრება და შიგნიდან ფატრავს მას. ტომის კაცები ტომისა და თემის თავკაცებად კიდევ ასატანები არიან, მაგრამ როცა ისინი ერისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში მოხვდებიან, იწყება ერის სიწმინდეების ნგრევა და ეროვნული სახელმწიფოს განადგურება.

სეპარატისტებისა და ტრაიბალისტების ცდომილება ის არის, რომ მათ ერი მარტოოდენ წარსულის ასპექტი ჰგონიათ და ავიწყდებათ, რომ მას მომავლის ასპექტიც აქვს. ამიტომ ამბობს ილია, „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი... ჩვენ უნდა ჩვენი ვუშვათ მყოობადიო“. მყოობადის, ანუ მომავლის ასპექტის გადასარჩენად კი აუცილებელია, გავითავისოთ აწმყო, რომელიც „წმინდა“ ეთნიკური აღარ არის, მაგრამ მისი არსებობის გაგრძელების საწინდარია. ამიტომ იმეორებს ილია ლაიბნიცის ფორმულას: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“. ეთნიკური მინარევები, რომლებიც დღეს ერის „სიწმინდეს“ ამღვრევს, მომავალში, ისტორიის წყალობით, ერის სრულფასოვან ნაწილებად იქცევიან და მის უკვდავებას უზრუნველყოფენ: „ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება – იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა... ის ხალხი, ის ცხოვრება, რომელიც არ იზრდება, რომელსაც არა აქვს თავისი გაზაფხული და ნაყოფიერი შემოდგომა; რომელიცა ბერდება კი, მაგრამ იმ სიბერის ნაყოფზედ ისევ არ ამოვა განახლებული, განათლებული სიახლის მშვენიერ გვირგვინითა – ის ხალხი, ის ცხოვრება მიჩანჩალებს სამარისაკენ, ბოლოს მივა და აღიგვება, როგორც მტვერი დედამიწის ზურგიდამ“ (ილია ჭავჭავაძე, „საქართველოს მოამბეზედ“).

აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილის ცდომილებაც ის არის, რომ ერის ცნების გასაგებად ენიდან და სარწმუნოებიდან ამოდის: „რა არის საჭირო, რომ ადამიანი ადამიანად ჩამოყალიბდეს და არ დარჩეს უბრალოდ ცოცხალ ორგანიზმად? ამისათვის მას, უპირველესად, უნდა ჰქონდეს ენა, ანუ ის ერში უნდა დაიბადოს! მას უნდა ჰქონდეს სარწმუნოება, ანუ ის ერში უნდა დაიბადოს!“ ეტყობა, ამიტომაც „უსწორებს“ პატივცემული მეცნიერი, პოლიტიკოს ლევან ბერძენიშვილივით, დიდ ილიას ცნობილ ფორმულას „მამული, ენა, სარწმუნოება“ – ფორმულით „ენა, მამული, სარწმუნოება“. ამის შემდეგ, „ლოგიკური“ ჩანს, რომ საქართველოს მოქალაქე ოსები, აფხაზები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვა ეთნოსები, რომლებსაც საკუთარი ენები და სარწმუნოებები აქვთ, ქართველებად არ ჩაითვალონ. მაგრამ რა ვუყოთ მეგრელებს, სვანებს, წოვა თუშებს, რომელთაც თავთავიანთი ენებიც აქვთ, ან აჭარლებს, რომელთა ნაწილი მუსულმანები არიან, აგრეთვე ხევსურებსა და ფშავლებს, რომლებიც, ქრისტიანობასთან ერთად, წარმართულ წეს-ჩვეულებებსაც ინარჩუნებენ - ქართველებად არ ჩავთვალოთ?

ბ-ნ შოთას საზოგადოება ერის ანტიპოდი ჰგონია: „საზოგადოება არ არის ერი. ერი სულიერია, საზოგადოება არ არის სულიერი არსება. ადამიანი პასუხისმგებელია თავის მოქმედებაზე, საზოგადოება არ არის პასუხისმგებელი თავის მოქმედებაზე. საზოგადოება არის შექმნილი სახელმწიფოს მსგავსად, ერის საზოგადოებებად დაყოფა შეიძლება, ერის დაშლისკენაც იყოს მიმართული. მაგალითად , დღეს ჩვენში ძალიან პოპულარულია ტერმინი სამოქალაქო საზოგადოება და მიდის ბრძოლა სამოქალაქო საზოგადოების უფლებების დაცვისათვის. სამოქალაქო საზოგადოება არის ადამიანის, ცალკეული სუბიექტების მხარეს გადახრილი ერთობა, რომლისთვის მნიშვნელობა არა აქვს ერის ინტერესებს. ისინი ამბობენ, ჩვენ თავისუფალი უნდა ვიყოთ ეროვნული ნიშნისგანო. მათთვის მთავარია ადამიანი და არა ერი“. მისი აზრით, ადამიანის უფლებები სასარგებლოა მხოლოდ საზოგადოებისათვის, ერისათვის კი ისინი დამღუპველია და ამერიკიდან მოდის: „ეს (იგულისხმება ადამიანის უფლებები – **ო.ხ.**) ამერიკიდან მოდის, როცა იქ თავი მოიყარეს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩაგვრას გაქცეულმა ადამიანებმა. იქ ჩასულ ხალხს შორის შინაგანი თანხმობა გაჩნდა და ჩამოყალიბდა საზოგადოება. მათ თანდათან შექმნეს სახელმწიფო, მაგრამ ვერ შექმნეს ცალკე ერი. ამერიკელებმა ინდივიდზე ააგეს თავისი ქვეყანა. ამას სჭირდებოდა იდეოლოგია და 1944 წელს რენე კარენმა და ელეონორა რუზველტმა დაწერეს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების ქარტია. საერთაშორისო სამართალი სწორედ ამ ქარტიაზე არის აგებული. მადლობა ამერიკელებს ამისთვის, მაგრამ ჩვენ გვჭირდება ერის უფლებების დაცვა... ჩვენი ხალხი გრძნობს, რომ ამერიკელებთან ურთიერთობით ჩვენ უარს ვამბობთ ჩვენს ეროვნულ ღირებულებებზე, ჩვენს კულტურაზე, ჩვენს ტრადიციებზე... ერი და ეროვნება დიდი ღირებულებაა... ამერიკელისთვის პიროვნების კეთილდღეობაა მთავარი. ამერიკელი არ არის ერის შვილი, ის არის უბრალოდ იმ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანი, და ერის დაცვა მათთვის არ არის ამოცანა, ეს მათთვის ხელისშემშლელიც გახლავთ. ამერიკაში განვითარდა გლობალიზმი, რაც ნიშნავს ყველა სახელმწიფოში საზღვრის მოხსნას, საერთო კანონების შემოღებას. ეს ერის წინააღმდეგ არის მიმართული. ადამიანის უფლებების დაცვა ერის წინააღმდეგ ბრძოლა, საბოლოო ჯამში, ადამიანის წინააღმდეგაც არის მიმართული, რადგან ადამიანი ადამიანად ყალიბდება მაშინ, როცა ის ერშია“..

**ჯერ ერთი**, ადამიანის უფლებები არც ამერიკიდან მოდის და არც 1944 წელს დაწერილა; იგი საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან მოდის და 1789 წელს დაიწერა. „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციამ“, როგორც მას თავიდან ეწოდა, გააუქმა „ეროვნულ-ტრადიციული“ ფეოდალური პრივილეგიები და დაამკვიდრა ყოველი მოქალაქისათვის უფლებრივი თანასწორობა, რაც საფუძვლად დაედო საერთაშორისო სამართალს, სამართლებრივ სახელმწიფოს პრინციპსა და კაცობრიობის ცივილიზაციას.

**მეორე**: საერთაშორისო სამართლის გლობალიზმში არევა დიდი შეცდომაა. საერთაშორისო სამართლის პრიმატი ეროვნული სამართლის მიმართ ნიშნავს იმას, რომ ყველა სახელმწიფომ დაიცვას ადამიანის უფლებები, ურომლისოდაც არც ადამიანი არსებობს და არც სახელმწიფო. რაც შეეხება გლობალიზმს, იგი ნიშნავს იმას, რომ გლობალური ზესახელმწიფო დაეუფლოს ეროვნულ სახელმწიფოთა ეკონომიკურ ბერკეტებს, მიიტაცოს მათი სიმდიდრეები და გაალატაკოს მათი მოსახლეობა. ასეთ პირობებში, ეროვნული სახელმწიფოები, ბევრიც რომ ეცადონ, ვერც ადამიანის უფლებებს დაიცავენ და ვერც ერის უფლებებს.. ეს უსამართლობა კი მართლაც ამერიკიდან მოდის, ხოლო რა ადამიანის უფლებების დაცვასაც ნიშნავს იგი, ამაზე დღევანდელი საქართველოს მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობაც მეტყველებს.

**მესამე**: ადამიანის უფლებების დაცვა შეუძლებელია, ერის უფლებას ეწინააღმდეგებოდეს, რადგან ადამიანის უფლებების დაცვა, პირიქით, ხელს უწყობს ერის ინტეგრაციას და სახელმწიფოს განმტკიცებას, როგორც ადამიანის უფლებების შელახვა (ეთნიკური, რელიგიური, კლასობრივი, რასობრივი და სხვა სახის დისკრიმინაცია) – ერის დეზინტეგრაციასა და სახელმწიფოს დაშლას. ამიტომაც ზემოხსენებული დეკლარაცია, ადამიანის უფლებების აღიარებასთან ერთად, „ერის სუვერენობასაც“ აღიარებს. თუ ბ-ნი შოთა ერის უფლების არსს ადამიანის უფლებების შელახვაში ხედავს, ეგ სხვა საკითხია. ყოველ შემთხვევაში, ამ გზით აფხაზებისა და ოსების კეთილგანწყობის მოპოვება არ მოხერხდებოდა და არც მოხერხდა.

**მეოთხე და მთავარი**: საზოგადოება, რომელიც დღეს ეთნიკურად განსხვავებულ ადამიანთა ერთობას წარმოადგენს, ხვალ, სათანადო სახელმწიფოებრივი და ისტორიული პირობების წყალობით, ერის მომავლის ასპექტად გადაიქცევა. ამ თვალსაზრისით, საქართველოს მოქალაქე ოსები, აფხაზები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვა ეთნოსები პოტენციური ქართველები არიან. თუმცა არა, დღესვე რეალური ქართველები არიან, რადგან ქართველი ეთნიკური ცნება არ არის. ასეთი ეთნოსი არ არსებობს. ეთნიკური არის ქართლელი, რომელმაც შექმნა „საქართველო“, ქართველი სახელმწიფოებრივი ცნებაა, რაც ოდესღაც „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არაგაწამდე“ ყველა მცხოვრებს ერქვა და დღეს დარჩენილი საქართველოს ყველა მცხოვრებს ჰქვიათ, მაგრამ ვიღაცები არ ანებებენ, რომ ერქვათ.

**ომარ ხახაშვილი,**
ბელგიის მოქალაქე

დასასრული. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 5.

უკომენტაროდ

# წყალში გადაყრილი მილიონები



## პოლიტიკური პარტიების დასაფინანსებლად ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაახლოებით 6 მლნ ლარი იხარჯება

**დიახ, პოლიტიკური პარტიების დასაფინანსებლად ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაახლოებით 6 მლნ ლარი იხარჯება. საბიუჯეტო რესურსს, დღეის მდგომარეობით, 14 პოლიტიკური სუბიექტი იყენებს.**

შეგახსენებთ, რომ კანონით დადგენილი ნორმით, საბიუჯეტო დაფინანსება გამოეყოფათ პარტიებს, რომელთაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გადალახული აქვთ 3-პროცენტიანი ბარიერი. საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში კი, მათი საარჩევნო შედეგი 4 პროცენტს უნდა აღემატებოდეს. ეს პოლიტიკური პარტიებია: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლეიბორისტული პარტია“, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, „რესპუბლიკური პარტია“, მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, „კონსერვატიული პარტია“. საბიუჯეტო დაფინანსებას იღებენ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში დადებითი შედეგის მქონე ის პოლიტიკური სუბიექტები, რომლებიც პარლამენტში შევიდნენ და ისინიც, ვინც სადეპუტატო მანდატებზე უარი თქვეს. კერძოდ, ეს სუბიექტები არიან ერთ დროს გაერთიანებული ოპოზიციის საარჩევნო ბლოკში შემავალი: „ახალი მემარჯვენეები“, „ეროვნული ფორუმი“ პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება“, „ხალხის პარტია“, „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, „საქართველოს გზა“, „ქართული დასი“ და „ჩვენ თვითონ“.

შეგახსენებთ იმასაც, რომ პარტიათა საბიუჯეტო დაფინანსება რამდენიმე კომპონენტიანია. იგი შედგება 150 ათასი ლარის ოდენობის საბაზისო დაფინანსებისგან, რომელიც 8 პროცენტზე მეტი საარჩევნო შედეგის მიღების შემთხვევაში, ორმაგდება და 300 ათასს ლარს შეადგენს. გარდა ამისა, პარტიები დაფინანსებას არჩევნებზე მიღებული ხმებისა და სადეპუტატო მანდატების მიხედვითაც იღებენ, რასაც საგრანტო ფონდიდან გამოყოფილი თანხებიც ემატება.

საერთო ჯამში, ამ ყველა კომპონენტის გათვალისწინებით, ყველაზე დიდი ოდენობის დაფინანსება „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიიღო, რომლის ანგარიშზეც ყოველწლიურად 2 მლნ 41 ათასი ლარი ირიცხება. დაფინანსების მოცულობით მეორე ადგილზეა გიორგი თარგამაძის „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, რომელიც წელიწადში 787 ათასს ლარზე მეტს იღებს. მათ „ლეიბორისტები“ მოჰყვებიან 498 ათასიანი ბიუჯეტით. წელიწადში 355 ათას ლარს აღემატება „რესპუბლიკური პარტიის“ და „კონსერვატორების“ საბიუჯეტო დაფინანსება, ხოლო 346 ათასზე მეტია „მრეწველების“ საბიუჯეტო შემოსავლები, რომლებიც სხვათა შორის, სახელმწიფო დაფინანსების მიმღებ პარტიათა რიგში 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გამო ირიცხებიან. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ დაფინანსების მიღების თვალსაზრისით „რესპუბლიკელებისა“ და „მრეწველებისთვის“ უახლოეს არჩევნებს გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია, რადგან თუ მათ საჭირო საარჩევნო შედეგი ვერ მიიღეს, ვერც ბიუჯეტიდან მიიღებენ ფულს.

დაფინანსება თანაბრად ნაწილდება იმ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის, რომლებმაც მონაწილეობა 2008 წლის არჩევნებში ერთიანი ბლოკით მიიღეს, მაგრამ სადეპუტატო მანდატები არ აიღეს. „ახალი მემარჯვენეები“, „ხალხის პარტია“, „ეროვნული ფორუმი“ „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ და „საქართველოს გზა“, საფონდო თანხების ჩათვლით, თითოეული სულ 103-103 ათას ლარზე მეტს იღებენ. მათზე მეტი საბიუჯეტო რესურსი გააჩნია ამავე ბლოკიდან პარლამენტში შესულ „ქართულ დასს“ (110 ათას 394 ლარიძ და „ჩვენ თვითონს“ (117 ათასს 594ძ. რაც შეეხება კონსტანტინე გამსახურდიას პარტია „თავისუფლებას“, რომლის ლიდერმაც სადეპუტატო მანდატის დაბრუნებისა და პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილება სრულიად უპრეცედენტო საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ მიიღო, იგი საფონდო დაფინანსების ჩათვლით 110 ათას 394 ლარს იღებს.

**ოფიციალური ინფორმაცია**

სამართალმა პური ჭამა

***2009 წლის 5 მაისს გენერალი კობა კობალაძე ტელეკამერების წინ დააპატიმრეს. ის ეჭვმიტანილი იყო მუხროვანის სატანკო ნაწილის ამბოხებასთან კავშირში და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში. კობალაძე თავიდანვე ყველა ბრალდებას უარყოფდა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში პროტესტის ნიშნად შიმშილობდა კიდეც.***

***თუმცა, დღეს მას შეუძლია თქვას, რომ „სამართალმა პური ჭამა“. თბილისის საქალაქო სასამართლომ კობალაძე დარბაზიდან გაანთავისუფლა. მისი ადვოკატის შალვა თადუმაძის თქმით, ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან კობალაძის უდანაშაულობაში სასამართლოც იყო დარწმუნებული და პროკურატურაც.***

# კობალაძეს „მუხროვანის საქმესთან“ შეხება არ ჰქონდა

— რა თქმა უნდა, ველოდი, რომ კობა კობალაძეს სასამართლო დარბაზიდან გაანთავისუფლებდნენ. კერძოდ, მისი დაკავების პირველივე დღეებიდან გამოიკვეთა, რომ კობალაძეს „მუხროვანის საქმესთან“ არანაირი შეხება არ ჰქონდა და აბსოლუტურად უდანაშაულო იყო. არანაირი საფუძველი არ იყო იმისა, რომ მისთვის რაიმე ბრალი წაეყენებინათ, გვითხრა შალვა თადუმაძემ.



**— კობა კობალაძის დაპატიმრების საფუძველი რა იყო? საინტერესოა, შემდეგ გაუქმდა ეს საფუძველი?**

— კობა კობალაძე 5 მაისს დააპატიმრეს ღვალაძის ჩვენების საფუძველზე (შსს-ს მიერ გავრცელებული ვიდეომასალაში ყოფილი სამხედრო ღვალაძე სახელმწიფო გადატრიალებაზე საუბრობდა — „მედიანიუსი“ძ. თუმცა, 2009 წლის 6 მაისიდან მოყოლებული დღემდე ღვალაძემ ხუთჯერ შეცვალა ჩვენება. შესაბამისად, მისი პირველი ჩვენება კობალაძისთვის ბრალის წაყენებისთვის არანაირ საფუძველს აღარ წარმოადგენდა.

**— პატიმრობის პერიოდში კობა კობალაძეზე ხომ არ ხორციელდებოდა ზეწოლა ან ხომ არ ცდილობდნენ, რომ მისთვის რაიმე ჩვენებაზე ხელი მოეწერებინათ?**

— პირდაპირ ვაცხადებ — კობა კობალაძეზე არანაირი ზეწოლა არ განხორციელებულა. ჯერ ერთი, ის სრულიად უდანაშაულო იყო და ამას ყველა ხვდებოდა. მეორეც, კობალაძე არ არის ისეთი პიროვნება, რომ მასზე რაიმე სახის ზეწოლა შესაძლებელი ყოფილიყო.

**— პროკურატურა თავისუფლების რამდენი წლით აღკვეთას ითხოვდა?**

— 13 წლითა და 6 თვით, შეიარაღებული ამბოხის მოწყობის მცდელობის მუხლით. თუმცა, შემდეგ, ეს ბრალდება მოეხსნა და დარჩა მხოლოდ იარაღის უკანონოდ ტარება, რისთვისაც შეეფარდა 8 თვე. თუმცა, ეს პერიოდი კობალაძემ საპატიმროში გაატარა და სასჯელი მოხდილად ჩაეთვალა.

**— კობა კობალაძე გენერალია და მას არ ჰქონდა იარაღის ტარების უფლება?**

— რა თქმა უნდა, არის კითხვის ნიშნები. დავსხდებით, ვიმსჯელებთ და შესაძლოა, ეს გავასაჩივროთ კიდეც.

**— ისიც საინტერესოა, სასამართლოს ძალით თუ აპირებთ მორალური კომპენსაციის მოთხოვნას? შეგახსენებთ, რომ კობალაძე ძალზე უხერხულ სიტუაციაში, ინტერვიუს მიცემისას დააკავეს.**

— არ არის გამორიცხული. კონსულტაციების შემდეგ, სერიოზულად ვიფიქრებთ ამ სარჩელის შეტანაზე. შემდეგ კი, სასამართლოზე უკვე დეტალურად ვისაუბრებთ კობა კობალაძის უკანონო პატიმრობაზე.

**— საინტერესოა, კობა კობალაძის სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლებამ გამოიწვია პროკურორის გაღიზიანება?**

— როგორც უკვე აღვნიშნე, ყველა დარწმუნებული იყო კობალაძის უდანაშაულობაში. რა თქმა უნდა, პროცესზე გარკვეული სპორტული ინტერესი იყო, მაგრამ წინ, ალბათ, მაინც ადამიანური ფაქტორი იდგა.

„მედიანიუსი“

ინფორმაცია

# „საქპატენტური“ აფიორა გახსნილია

**საქართველოს** მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე „საქპატენტის“ ხელმძღვანელების მიმართ. საქმე აღძრულია დანაშაულზე, გათვალისწინებული საქართველოს სს კოდექსის 338 მუხლის II და III ნაწილით.

წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ 2007 წლის 27 ივნისს სსიპ „ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი — საქპატენტის“ გენერალური დირექტორის დავით გაბუნიას ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა სატენდერო კომისია, რომელსაც უნდა ჩაეტარებინა ტენდერი და ორგანიზაციისთვის შეეძინა ქ. ბორჯომში სასტუმრო-საცხოვრებელი კომპლექსის ცხრა ბინა. დავით გაბუნია თავის მოადგილესთან ირაკლი ხურციძესთან ერთად დაუკავშირდა ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიას და ტენდერში მონაწილეობა შესთავაზა. ამასთან ი. ხურციძემ და დ. გაბუნიამ ამ კომპანიას ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებისა და სახელშეკრულებო თანხის, 9 ბინის საფასურის — 384 705,2 აშშ დოლარის წინასწარ, ერთდროულად ჩარიცხვისა და შეღავათების სანაცვლოდ, ქრთამის სახით საცხოვრებელ კომპლექსში დამატებით ერთი ბინის უსასყიდლოდ გადაცემა მოსთხოვეს.

ხელშკრულების გაფორმებისა და თანხის სრულად ჩარიცხვის შემდეგ, ი. ხურციძემ და დ. გაბუნიამ, ქრთამის სახით უსასყიდლოდ მიიღეს 77,6 კვადრატული მეტრის, დაახლოებით 55 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ბინა, რომელიც დანაშაულის დაფარვის მიზნით, ქრთამად რომ არ გამოჩენილიყო გააფორმეს „საქპატენტი“-ს დირექტორის დ. გაბუნიას დეიდაშვილის მიხეილ მუჯირის სახელზე.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ი.ხურციძემ და დ.გაბუნიამ წინასწარი შეთანხმებით გამყიდველ მხარეს არ დააკისრეს კანონით გათვალისწინებული სანქცია და არ დაარიცხეს მას 38 470,52 აშშ დოლარის გადახდა. უფრო მეტიც, მათ გაყალბებული აუდიტორული დასკვნების საფუძველზე, შეამცირეს საბანკო საგარანტიო თანხები 3000 ლარამდე. ამ შეღავათების სანაცვლოდაც წინასაწარი შეთანხმებით, ი. ხურციძემ და დ. გაბუნიამ ქრთამის სახით, შეღავათიან ფასად, 19 210 აშშ დოლარად მიიღეს კიდევ ერთი ბინა 37,9 კვ. მეტრი. ეს ბინაც 2009 წლის 30 ივლისს დადებული ხელშეკრულების თანახმად, ფიქტიურად გაფორმდა ჯერ დ. გაბუნიას შვილის — ეკა გაბუნიას სახელზე, მოგვიანებით კი — დ. გაბუნიას ნათესავის მანანა სოსელიას სახელზე.

ირაკლი ხურციძე დაპატიმრებული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338 მუხლის 2 და 3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. იგი „საქპატენტში“ 2007 წლიდან 2008 წლამდე დეპარტამენტის უფროსად მუშაობდა, ხოლო 2008 წლიდან ამავე დაწესებულების გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე. ირაკლი ხურციძეს 15 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

ჯი-ეიჩ-ენი



## ◉ აი, სიახლე!..

**ამ ჩვენს ეკონომიკურად თავისუფალ ნომერ პირველ ქვეყანაში, რაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა მსოფლიოს ოფიციალური დოკუმენტის („თავისუფალი ეკონომიკის აქტი“) მიღებით აუწყა, საქართველოში ეკონომიკური აღმშენებლობისთვის იმდენად მსუყე ნიადაგი შეიქმნა, რომ საგადასახადო სამსახურის მუშაკებმა მეწარმეთა დაშინება-დატერორება უკვე განვლილ, ჩამოწერილ ეტაპად მიიჩნიეს და მათი მორიგი გართობა-განწყობილებისთვის ელექტრონული დეკლარაციებით კეკლუცობა მოისურვეს.**

# მეწარმეებს ახალი თავსატეხი გაუჩნდათ!



## საგადასახადომ ელექტროდეკლარაციებით კეკლუცობა მოისურვა

ელექტრონული დეკლარაციები? — გაიკვირვებთ, — ნეტა საიდან შემოფრინდა საქართველოში, ევროპიდან თუ ამერიკიდან? ეს ისეთი ჩიტი ჩანს, ჩვენი ჩიტირეკია მთავრობის გარდა ძნელად თუ ვინმე მოიფიქრებდაო. ოლოლოო, გამოიცანით! ეს სიახლე (გნებავთ ინიციატივა დავარქვათ) ფინანსთა სამინისტროს ბოლოდროინდელი წყალობა გახლავთ, რომელიც სპეციალურად ქართველ მეწარმეთა „წასახალისებლად“ შეიქმნა. ადრე ისინი დეკლარაციებს საგადასახადო სამსახურს წერილობით აბარებდნენ, რაც, გარდა იმისა, რომ მათ დიდ დროსართმევდა, ერთობ პროზაული და მოსაწყენიც იყო. ჰოდა, საქმე გაუადვილეს, ჯერ კიდევ დეკემბერში საგადასახადოში წერილებით მისული მეწარმეები უარით გაისტუმრეს — ვერ გაგვიგია, ამ ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში ნიკოლოზისდროინდელი მეთოდებით რატომ უნდა გაიმწაროთ ყოფა, მიუსხედით კულტურულ კომპიუტერს და ის, რაც წერილობით უნდა გეცნობებინათ, ელექტრონული ფორმით გამოგვიგზავნეთო.

**— აბა რას წუწუნებ, რომ წუწუნებ,** — ვეუბნები ერთ ჩემ ნაცნობ მეწარმეს (გვარს მისი თხოვნით არ ვასახელებ) — **ფინანსთა სამინისტროს თქვენთვის საქმე გაუიოლებია და კიდევ ემდურებით?**

— ჰო, გვიიოლებენ და გვიიოლებენ (ელიმება), თანაც ისე, რომ ბოლოს შეიძლება სულაც უსაქმოდ დავრჩეთ. წუხელ მე და ჩემმა ბუღალტერმა მთელი ღამე გავათენეთ, მაგრამ საგადასახადოსთვის დეკლარაციის გადაცემა მაინც ვერ შევძელით.

**— რატომ, ასეთი შეუძლებელი რა გადაგეღობათ?**

— საგადასახადო სამსახურის სერვერი იყო გადატვირთული და იმიტომ. ყველა ცდილობს, დროულად მოასწროს დეკლარაციის ელექტროვერსიით გაგზავნა, სერვერი კი ერთბაშად ამდენ მსურველს ვერ უმკლავდება.

**— შენც რა გეჩქარება, როცა მოიცლის, მაშინ გაუგზავნე.**

— მოიცლის კარგია, დეკლარაციის მიღების ვადა 15 იანვრამდეა. თუ ამ დროში არ ჩავეტიე, 200-ლარიანი ჯარიმა არ ამცდება(!).

ვერაფერს იტყვი, როგორც ჩანს, ვინც ეს სიახლე მოიფიქრა, „კარგად მოიფიქრა“. საქართველოში საბაზრო ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, გახსოვთ ალბათ, მეწარმეთა დასაშინებლად, უფრო სწორად, გასატყავებლად საგადასახადო ეგზეკუციის სხვადასხვა ფორმას იყენებდნენ. ერთი პერიოდი იქამდეც კი მივიდნენ, რომ კახელ გლეხებს ქუჩაში გამოტანილი საკუთარი ბოსტნეულის თუ ბაღჩეულის გაყიდვისას ლამის სალაროაპარატების დადგმა მოსთხოვეს(!). ჰოდა არავის უნდა გაუკვირდეს, თუ ახლა, თანამედროვე ცივილიზაციის კვალობაზე, ბიზნესის დაშინება-დატერორების ახალ მეთოდს მიაგნეს.

თანაც როგორი ეფექტის მომტანია ეს სიახლე, ამას ყველა გრძნობს და ხედავს. ვისთვის არის ეფექტიანი? რა თქმა უნდა, პირველ რიგში სახელმწიფო ბიუჯეტისთვის, რომელიც თუ საგადასახადო ადმინისტრირების გამკაცრების, ბიზნესის მორიგი დაშანტაჟებისა და დატერორების გზით არ შეივსო (მე თქვენ გეტყვით, ქვეყნის მოგუგუნე ფაბრიკა-ქარხნებიდან მიღებულ შემოსავლებს ველარ აუდის), სხვა მხრივ 2010 წლის დავალების შესრულება ძალიან გაუჭირდება. ჰოდა, კვების ახალი რეზერვი გაუჩნდა. ვთქვათ, ხუთასმა მეწარმემ ვერ მოასწრო დადგენილ ვადაში დეკლარაციის წარდგენა, ეს იმას ნიშნავს, რომ ბიუჯეტი ჯარიმების სახით დამატებით 100 ათას ლარს მიიღებს. რაც უფრო მეტი იქნება ასეთი მეწარმეთა რაოდენობა, ბიუჯეტი მით უფრო მოგებული დარჩება.

ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა, რა თქმა უნდა, არავის აწყენს — არც სახელმწიფოს და არც მის კუდის რიკამდე გატყავებულ ხალხს, მაგრამ ხელისუფლება, რომელიც ბიზნესისთვის სასურველი პირობების შექმნით მთელ დუნიაზე ტრაბახობს, პიარის (ამას სხვა ვერაფერს დავარქმევთ) რეალობად ქცევისთვის ოდნავ ხომ მაინც უნდა ირჯებოდეს. რეალობა კი ის გახლავთ, რომ საქართველოში მცირე მეწარმეთა საკმაო რაოდენობა, რომელიც ბუღალტერიას ქაღალდზე, კომპიუტერის გარეშე აწარმოებს, იძულებული გახდა, ზედმეტი ხარჯი გასწიოს, დეკლარაციის ელექტრონული ფორმები სხვას მოამზადებინოს და თუ ეს ყველაფერი დროულად ვერ მოასწრო, ჯარიმაც გადაიხადოს. არადა, კანონი ამის აუცილებლობას სულაც არ აყენებს. ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს ბრძანებით, მეწარმეს შეუძლია საკუთარი სურვილით აირჩიოს დეკლარირების ფორმა და საგადასახადო სამსახურის მუშაკებს არავითარი უფლება არა აქვთ, მას თავს მოახვიონ სხვა, მათთვის სასურველი გადაწყვეტილება.

**მეც ისე ვლაპარაკობ, ვითომ საქართველოს ხელისუფლება საკუთარი კანონების დიდი დამცველი გვყავდეს და ასეთი განუკითხაობა ქვეყანაში პირველად ხდებოდეს. მეწარმეებო, გამოიჩინეთ გამძლეობა, ამტანობა და, სადაც ამდენი ვაივაგლახი გადაიტანეთ, კიდევ ერთ თავსატეხს გაუძელით, ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ თავისუფალი ეკონომიკის პირმშო ქვეყანაში მოღვაწეობთ!**

ოთარ ხუციშვილი

## ◉ სოფლის მეურნეობა

*მეხსიერება თუ არ მღალატობს, ჯერ კიდევ არცთუ შორეულ წარსულში, საქართველოში, მრავალ სხვასთან ერთად, რამდენიმე მნიშვნელოვანი საწარმო იყო. მათ შორის, ალბათ, პირველ რიგში უნდა დასახელდეს სტრატეგიული მნიშვნელობის თბილისის საავიაციო ქარხანა, არანაკლებ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ქუთაისის ავტოქარხანა, რუსთავის „აზოტი“, თბილისის ვაგონშემკეთებელი ქარხანა და სხვ. ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ჩემი აზრით, ამის გაკეთებას აზრი არა აქვს და აი რატომ. მაშინდელი საბჭოთა საქართველოს ზემოთ დასახელებული ფლაგმანებიდან სადღეისოდ არც ერთი, ვიმეორებ, არც ერთი ქარხანა ძველი სიმძლავრის 15, უკეთეს შემთხვევაში 20 პროცენტზე მეტად არ არის დასაქმებული. მაგალითად, ბოლო წლებში თბილისის საავიაციო ქარხნის მუშაობა, პრაქტიკულად, თურქმენეთიდან თავის დროზე მიღებული ბუნებრივი გაზის საფასურად, ბარტერის წესით, მისი მოძველებული სამხედრო თვითმფრინავების შეკეთება და საკმაოდ მდარე ხარისხის საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოშვება იყო; თბილისის ვაგონშემკეთებელი ქარხანა თვეში ერთ ან ორ „პენსიაში გასაშვებ“ ელმავალს თუ შეაკეთებდა; ქუთაისის ავტოქარხანას წლების მანძილზე არც ერთი ავტომანქანა არ გამოუშვია და ახლა უცხოური ინვესტორები იქ ავეჯის, კონდიციონერების, გამათბობლების და მსგავსი საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის გამოშვებას აპირებენ, რომელიც, მეეჭვება, რომ საერთაშორისო ბაზარზე მაღალი დონის კონკურენციის გამწევი იყოს საზღვარგარეთული ანალოგებისთვის; რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ხომ საერთოდ ჯართად გაიყიდა და, რამდენადაც ვიცი, დარჩენილსაც იგივე ბედი ელის, თუმცა მის ირგვლივ გაუთავებელი „წყალქვეშა ომი“ მიმდინარეობს, რომლის პერიპეტიები იშვიათად თუ ამოაღწევს ხოლმე დღის ზედაპირზე...*

# დაფინანსების აქილევსის ქუსლი

კიდევ ცალკე თემაა ქვეყნის ენერგოსისტემა და გაზის მიწოდების ქსელის საკითხები, რომლებზეც საუბარი შემდგომ აუცილებლად გვექნება, თუმცა ამჯერად, ერთობ ვრცელი პრეამბულის მერე თქვენი ყურადღება, პატივცემულო მკითხველო, საქართველოს სოფლის მეურნეობის მთავარ სატკივარს მინდა მივაპყრო.

ქვეყნის აგრარული ბაზარი უცხოური, უმეტესწილად, რბილად რომ ვთქვათ, არც მთლად მაღალხარისხიანი საქონლითაა გაჯერებული, რაც საყოველთაოდაა ცნობილი. უბედურება ისაა, რომ ოდითგანვე მიწათმოქმედებით ცნობილ ქვეყანაში ადგილობრივ სოფლის მეურნეობის პროდუქციას მხოლოდ მეორე ადგილი (თურქეთის შემდეგ) უკავია. ერთიანად გაპარტახებულია სოფლის მეურნეობის ისეთი დარგები, როგორებიცაა ხილისა თუ ბოსტნეულის, ნატურალური წვენების საკონსერვო მრეწველობა, მეჩაიეობა, მიწის დამუშავება, სათანადო ტექნიკის უქონლობის გამო, ფაქტობრივად, ისევ ძველებურად, მამაპაპისეულად ხდება, რის გამოც უამრავი მიწა ტყუილად ცდება...

ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ერთი საგულისხმო მაგალითის მოყვანა შეიძლება. თავის დროზე სოფლის მეურნეობის სამინისტროში მომზადდა ქვეპროგრამა, „სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — 2008“, რომლის განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 30 მილიონი ლარი გამოყვეს. ამ თანხის დანიშნულება იყო დაინტერესებულ პირთათვის ლიზინგის წესით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანა-დანადგარების შექენა. ახლა ვცადოთ იმის გარკვევა, თუ რატომაა ამ პროგრამის ფართომასშტაბიანი განხორციელება, ფაქტობრივად, შეუძლებელი. პირველ ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ თავად ლიზინგის (ანუ ეგრეთ წოდებული „მეორადი სარგებლობის ტექნიკის“ გამოყენების) წესები: **სარგებლობის ვადაა 25 წელი; ტექნიკის სარგებლობის შეღავათიანი ვადაა 5 წელი, ხოლო სარგებლობისთვის წლიური განაკვეთია 4 პროცენტი.**

პროგრამის განხორციელების „შენელებული მოქმედების ნაღმიც“ სწორედ ამ, ერთი შეხედვით უწყინარ ციფრებშია ჩადებული სრულიად მარტივი მიზეზით. მთელ მსოფლიოში და მეწარმეობის ნებისმიერ სფეროში, ახალი წამოწყებისთვის საჭირო სახსრებს მეწარმეები ბანკებიდან ანდა სხვადასხვა დარგობრივი ფონდებისგან თუ კავშირებისგან სესხულობენ. საქმის დასაწყებად საწყისი კაპიტალი რომ არის საჭირო, ეს ეჭვს არ იწვევს ისევე, როგორც ის, რომ სოფლის მეურნეობის დარგობრივი ფონდები თუ კავშირები საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობს. ამიტომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იურიდიული თუ ფიზიკური პირები ფულის სასესხებლად კომერციულ ბანკებს აკითხავენ და... სწორედ აქ არის პროექტების აქილევსის ქუსლი. საქმე ის არის, რომ **სადღეისოდ ეროვნული საბანკო სექტორი სულაც არ არის დაინტერესებული ისეთი მაღალი რისკის დარგებზე კრედიტების გაცემაზე, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, მისთვის ქვეყნისთვის და რეგიონების მოსახლეობისთვის ეს უმნიშვნელოვანესი დარგი პრიორიტეტს არ წარმოადგენს. და, რაც მთავარია: კომერციული ბანკების მიერ გასაცემი კრედიტების აბსოლუტური უმრავლესობა — 90 პროცენტი — მოკლევადიანია, მათი ხანგრძლივობა 2-3 თვეა, ხოლო განაკვეთი 16-18 პროცენტის ფარგლებში მერყეობს.** ეს კი იმას ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ხალხისთვის ეს კრედიტები გინდ ყოფილა, გინდ არა. მოკლედ, საბანკო კრედიტების პირობები და სოფლის მეურნეობის წარმატებით განვითარების ვადები „სხვადასხვა წონით კატეგორიაში“ გამოდიან...

კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია მოსავლის დაზღვევის სისტემის უქონლობა, რომლის აუცილებლობა დიდი ხანია დადასტურებულია მსოფლიო პრაქტიკით.

მოკლედ, ეს არის საქართველოს სოფლის მეურნეობის აქილევსის ქუსლი, საქმეს კი, ფასებისა და ინფლაციის ზრდიდან, ზოგადად, ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე, სასწრაფოდ მიხედვა, თანაც ყველა მიმართულებით თუ არა ერთდროულად, მიყოლებით, ოღონდ აუცილებლად მიზანდასახულად სჭირდება, თუნდაც იმ მარტივი მიზეზით, რომ არსებული მონაცემებით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში შიმშილით დახოცილთა რიცხვი ყოველწლიურად უბრალოდ კი არ მატულობს, არამედ გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. თუ რას ნიშნავს ეს, ყველა გაიგებს, ვინც ყოველგვარი უნარ-ჩვევების „უცოდინრადაც“ საშუალო სკოლის თუნდაც რვა კლასი დაამთავრა.

ოთარ ტურაბელიძე

◉ წარმოჩენა

# როინ მეტრეველის აღიარება



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემია-ში (სმეა) მიღებულია ევროპის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის (ემხა) პრეზიდენტის, პროფესორ ფელიქს უნგერის წერილი, რომლითაც იგი იუწყება, რომ სმეა-ს აკადემიკოსი როინ მეტრეველი არჩეულია ემხა-ს წევრად.**

ეს აკადემია მსოფლიოს ერთ-ერთი მაღალპრესტიჟული სამეცნიერო დაწესებულებაა (ადგილსამყოფელით ზალცბურგშია). ემხა-ს წევრთა შორის არიან რომის პაპი ბენედიქტე XVI და 28 ნობელიანტი მეცნიერი.

შარშანდელი წლის მიწურულს ჩვენს გამოჩენილ ისტორიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს, სმეა-ს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ხელმძღვანელს როინ მეტრეველს 70 წელი შეუსრულდა (ამ თარიღს გულთბილად გამოეხმაურა „საქართველოს რესპუბლიკაც“ძ. რასაკვირველია, მსოფლიო მასშტაბით ესოდენ ავტორიტეტულ აკადემიაში არჩევა ბატონი როინისთვის შესანიშნავი საიუბილეო საჩუქარია და ქართული მეცნიერებისთვის — კიდევ ერთი საერთაშორისოდ წარმოჩენის ფაქტი.

**ვულოცავთ აკადემიკოს როინ მეტრეველს ამ საპატიო წოდებას!**

**თამაზ ებანოიძე**

◉ სამეგრელოს მხარე

# „სულის ამბოხი“

**როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. ამის დადასტურებაა სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის (მმართველი თენგიზ თოფურიძე) მიერ ამას წინათ გამართული ახალი სპექტაკლი „სულის ამბოხი“ (სინათლე ის არ არის, სადაც შუქი ანთია).**

სპექტაკლი დადგა და მუსიკალურად გააფორმა რეჟისორმა ირაკლი ადამიამ.

ნარკომანიის სენის წინააღმდეგ მიმართული თეატრალური წარმოდგენა შთამბეჭდავად და მიმზიდველად განახორციელეს მსახიობებმა ილია ხუსკივაძემ, ცირა ადამიამ, ზურაბ ზურაბაშვილმა, ლევან ვეკუამ, ქრისტინე ხაინდრავამ და პატარა მათე მიქაძემ.

სპექტაკლი მიმდინარეობდა სლაიდების ფონზე, რომელიც შემზარავად ასახავდა იმ კადრებს, რომელსაც ნარკომანია იწვევს ადამიანებში.

ახალი სპექტაკლი განხორციელდა საქართველოს კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

**იოსებ გობეჩია,**
ჩვენი კორ. ქ. სენაკი.

◉ „ძველი მირჩევნია“...

# სიყვარულის ქალაქის შუქ-ჩრდილები

**სიღნაღი ერთ-ერთი უძველესი, ულამაზესი და განსაკუთრებული ქალაქია ბუნებრივი მდებარეობითა და ხუროთმოძღვრებით.**

ბევრს საუბრობენ სიღნაღის ისტორიასა და ღირსშესანიშნაობებზე, განსაკუთრებით — მის სიძველეებზე, რომელიც მან თითქოს დაკარგა ან უბრალოდ რესტავრაციამ მიჩქმალა, რესტავრაციამ, რომელმაც მრავალი საინტერესო დადებითი სიახლის მიუხედავად, საზოგადოების დიდ ნაწილში უკმაყოფილება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

დაიგო გზები, შეკეთდა და შეიცვალა სახლის სახურავები, შეიღება და ყვავილებით მოირთო აივნები, გაჩნდა ახალი სასტუმროები, რესტორნები. თუმცა, ყოველივე ამან სიღნაღს ბევრი რამ დააკლო. ქალაქის რეაბილიტაციის დროს ბიბლიოთეკის შენობა, ეკონომიკის სამინისტრომ „კოკა-კოლაზე“ გაასხვისა და იქ სასტუმრო განათავსა. 2007 წლიდან ბიბლიოთეკა აღარ ფუნქციონირებს და 40000-მდე წიგნი სკოლის სარდაფებში ლპება. ქალაქში არ არის არც ერთი წიგნის მაღაზია. დახურეს მუსიკალური სასწავლებლებიც! თითქმის ყველა სახელმწიფო დაწესებულება წნორშია გადატანილი.

სიღნაღს აღარ ამშვენებს ამირანის ძეგლი, რომელიც კავკასიის მთებსა და ალაზნის ველს გადაჰყურებდა.

მოკლედ, ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ერთ დროს კულტურულ-საგანმანათლებლო სიღნაღი აჭრელებულ და გასართობ ქალაქად ექციათ.

საინტერესოა, როგორ იმოქმედა ყოველივე ამან სიღნაღის მოსახლეობაზე, რაში წაადგათ ეს ცვლილებები და რამ შეზღუდა ისინი. კმაყოფილი იყვნენ ალბათ მუშები მშენებლობის დროს, უდავოდ მოგებული დარჩებოდნენ რესტორნებისა და სასტუმროების მფლობელებიც, მაგრამ უფრო მეტია იმ განაწყენებული მოსახლეობის რაოდენობა, რომელთაც ძალით მოუხდათ მყიდველისთვის საკუთრების მიყიდვა სასურველ ფასად, ისე, რომ ფორმალობა არ დარღვეულიყო.

თუ უწინ სიღნაღელები ბოსტანში დათესილ მწვანილს უვლიდნენ, დღეს მათი მოვლის ობიექტი აივანზე, კალათაში ჩალაგებული ყვავილებია. მერე რა, თუ ამ შეღებილ აივნებსა და შენობებს ფერი ნელ-ნელა გადასდით, სახლის სახურავებიდან კი კრამიტები დღითი დღე ცვივა. სამაგიეროდ, ახლა სიღნაღის ქუჩებში ხშირად შეგხვდებათ რესტორნიდან გამოსული ქართველი თუ უცხოელი ბიზნესმენი „ისეთი უსიამო გამომეტყველებით სახეზე, როგორიცაა სიტყვა — „გავძეხი“, ხოლო თვით სიღნაღის ქუჩებს კი მრავლად ნახავთ ინტერნეტ-საიტებზე, უკეთ გაიცნობთ მას ფოტოებისა და ტურისტული სააგენტოების მეშვეობით, რომლებიც ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი დამსვენებლის მოზიდვას. ის, რომ სიღნაღის ცენტრი გალამაზდა, განათდა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტურისტულ ადგილად და სიყვარულის ქალაქად იქცა, უდავოა, მაგრამ წლების წინათ დაწყებული რესტავრაცია ჯერაც არ დასრულებულა, სიღნაღელები ელიან მშენებლობის გაგრძელებას, იმედია, მათი მოლოდინი ამაოდ არ ჩაივლის.

და მაინც, ამ ე. წ. თანამედროვე სიახლეებს, იქნებ ის ძველი ქვაფენილი და შეულებავი აივნები სჯობდა.

**თაკო შაიშმელაშვილი**

# წარსულის ცოდნა გვამაღლებს

**სენაკის მუნიციპალიტეტის სამხატვრო გალერეის — პროექტის — „წარსულის ცოდნა უკეთესი მომავლის საწინდარია“ (ავტორი ლევან წულაია, ხელმძღვანელი გიორგი ქადარია), მიზანია მოსწავლე ახალგაზრდობა აზიაროს საქართველოს ისტორიულ-კულტურული ფასეულობების ნახვის შესაძლებლობას. დიდი წარსულის მქონე ერი ვართ და შესაბამისად მდიდარია ჩვენი კულტურული მემკვიდრეობაც.**

დიდი ილია ბრძანებდა: „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო — მომავლისა“.

ამ პროექტით მოვხვდი ახალციხის ჯგუფში. მომეცა ძირძველი მესხეთის მონახულების საშუალება.

საუკუნეების განმავლობაში მესხეთი იყო ფარი და მახვილი საქართველოს დანარჩენი ნაწილებისთვის. ამას ადასტურებს ხერთვისი, თმოგვი, ვარძია, აწყური...

მესხეთს, მიუხედავად ჟამთა მსახვრალი ხელისა, მაინც აქვს შენარჩუნებული თავისი სიდიადე. ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა...

ვნახეთ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალციხის ისტორიული მუზეუმი, ექსპოზიციაში გამოფენილი უნიკალური ხელნაწერები, არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური და ეთნოგრაფიული მასალები. გავეცანით მესხეთის მკვიდრთა ყოფას უძველესი დროიდან დღემდე.

საქართველოს ყველა კუთხე ლამაზი და განუმეორებელია თავისი ისტორიით და კულტურით. გამიჩნდა საოცარი სურვილი კიდევ უფრო ახლოს გავიცნო ჩემი მრავალჭირგადანახადი ქვეყნის წარსული და დღევანდელობა.

მადლობა სენაკის მუნიციპალიტეტის სამხატვრო გალერეის დირექტორს ქალბატონ ეკატერინე გაბრავას პროექტის განხორციელებისთვის.

**თამარ მიქავა,**
სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამეს საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე.

◉ ინფორმაცია

## ვირუსმა კიდევ ერთი ახალგაზრდა იმსხვერპლა

**ე. წ. ღორის გრიპის ვირუსით საქართველოში კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა. ლაბორატორიულად დადასტურდა, რომ თბილისში მცხოვრები 27 წლის მამაკაცის დაღუპვის მიზეზი ვირუსი იყო.**

**გარდაცვლილი ღუდუშაურის კლინიკაში მკურნალობდა.**

**— 27 წლის მამაკაცი ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში გარდაიცვალა. ამ ეტაპზე აშკარაა ტენდენცია შემთხვევათა კლებისა. 1182 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევაა 19 ლეტალური შედეგით, — აცხადებს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე შოთა ცაავა.**

**საქართველოში ვირუსით სულ 19 ადამიანია გარდაცვლილი. მთლიანად საქართველოში კი ინფიცირების 1182 შემთხვევაა ლაბორატორიულად დადასტურებული. ბოლო 5 დღის განმავლობაში ამ ვირუსის გამოვლენის 10 ფაქტი დადასტურდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ ვეხმაურებით საშობაო ეპისტოლეს

# შეურიგებელი ბრძოლა ბილწსიტყვაობას, მეტადრე დედის მიმართ

**რა კარგია, რომ სიბრძნით სავსე, ამდენისმომცველ წერილში კათოლიკოს-პატრიარქს არც ბევრი ჩვენი ახალგაზრდის ენა-პირში მკვიდრად ჩაბუდებული სიბილწე გამორჩენია — „ჩემი დედა“, „ჩემ დედას“...**

„არ შეიძლება არ შევეხო ახალგაზრდებში გავრცელებულ ერთ მეტად მძიმე სენსაც — ბილწსიტყვაობას. რატომღაც ასეთი მეტყველება მათში კარგ ტონად და ვაჟკაცობად ითვლება... ყმაწვილები ხშირად საკუთარ დედასაც შეურაცხყოფენ და ზოგჯერ ვერც აცნობიერებენ, რას ამბობენ...

მე ვთხოვ ჩვენს ახალგაზრდებს, საერთოდ უარი თქვან ბილწსიტყვაობაზე და განსაკუთრებით კი დედასთან მიმართებაში“, — ბრძანებს უწმინდესი და უნეტარესი.

„ბრძანებს“ აქ, რასაკვირველია, მოკრძალებითი, თავაზიანი ფორმაა, მაგრამ პატრიარქს დიახაც უფლება აქვს, რომ პირდაპირი მნიშვნელობითაც უბრძანოს მობილწსიტყვეთ ამ საზიზღრობის — „ჩემი დედა“, „ჩემ დედას“ დავიწყება, ენა-პირიდან ამოძირკვა. ეგებ ახლა მაინც დასრულდეს შესაბამისი, მრავალწლიანი „ეპოქა“.

„მრავალწლიანი“ ვთქვი და მკითხველს შევახსენებ, რომ დიახაც, მრავალი წელია, რაც ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ვებრძვით მეც და არაერთი სხვაც ასეთ სიბილწეს, „მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა-რა“.

გვითქვამს: დაგვისახელონ მსოფლიოში ერი თუ ქვეყანა, რომლის ახალგაზრდა წარმომადგენლები ასე უდიერად მოიხსენიებენ მშობელ დედას; რუსი რომ რუსია და სამსართულიანი გინებები ეხერხება, „ტვაიუ მამუ“ ადვილად ამოგიტრიალებს, „მაიუ მამუ“ კი არ იტყვის (თუ, რა თქმა უნდა, თბილისელი რუსი არ არის; თბილისელი რუსისგან კი მსმენია მაიუ მამუო...ძ.



გვითქვამს: რომელი ბრიყვი, რომელი ტუტუცი დაუწყებს გინებას საკუთარ დედას, მაგრამ ამგვარ „თვითმაგინებელთა“, „ავტოშემკურთხებელთა“ სირეგვნე ის არის, რომ ეგ მეტყველებითი „წიაღსვლა“ ან უწყინარი დაფიცება ჰგონიათ („ჩემი დედა..., თუ გატყუებდე“ძ, ან შეცხადების, გაბრაზებისა თუ სინანულის გამოხატულება.

გვითქვამს: თქვე კაი დედის შვილებო, გულის მოფხანა თუ ბილწი სიტყვით გინდათ, თქვენს თავს, საყვარელს, ნუ ივიწყებთ და ნუ ინდობთ — რატომ ივიწყებთ და რატომ ინდობთ? „ჩემი ჭკუა“... და „ჩემს ჭკუას“... რად ვერ მოგიხმიათ?

გვითქვამს და გვირჩევია: „ჩემი დედა“ და „ჩემ დედას“ რომ წამოიწყებთ, ასე გააგრძელეთ — „ჩემი დედა არ მომიკვდეს“ და „ჩემ დედას გეფიცები“; შეიძლება თქვენთვის ჩვეული „ეფექტურობით“ არ გაისმის, მაგრამ ნორმალურია, წესიერია, უზრდელური, ბილწი არ არის.

კიდევ ესეც გვითქვამს: ქართველი კაცის „დედა“ წმიდათაწმიდა ცნება რომ არის, დაგითვლიათ, რამდენი სიტყვითაცაა ეგ გამოხატულ-განმტკიცებული? დედააზრი, დედაბოძი, დედამიწა, დედასამშობლო, ადგილის დედა, გუთნისდედა და კიდევ სხვადასხვა.

„ფიქრი სჭირია ამას“ და წაკითხვა უნდა დიდი ბატონი ილია მეორის ეპისტოლეს; და თუ წაიკითხავთ და დაფიქრდებით, დაე, პატრიარქის წერილის ის ადგილი სასწაულმოქმედ წყლად იქცეს თქვენს ენა-პირში გამოსავლებად... დედამაგინებელთ მოგმართავთ...

**ივა გორგაძე**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აფხაზეთი ეძებს მოკავშირეებს, რათა მოსკოვის გავლენიდან გამოვიდეს

**შავი ზღვისპირას არსებულ აფხაზეთს, რომელმაც გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა საქართველოსთან 1992-1993 წლების მკაცრი ომის შემდეგ, სურს, რომ მას იცავდეს რუსეთი, მაგრამ ამავე დროს არ მოახრჩოს იგი ხელის მოხვევით. ამოცანა უკიდურესად დელიკატური და რთულია, ვინაიდან მოსკოვი, რომელმაც აღიარა აფხაზეთის (სამხრეთ ოსეთთან ერთად) სახელმწიფო დამოუკიდებლობა 2008 წელს, მისთვის მეტად მნიშვნელოვანია.**

მოსკოვი უზრუნველყოფს აფხაზეთის საზღვრის დაცვას საქართველოსთან, აგრეთვე მის შავი ზღვის სანაპიროს (214 კილომეტრი) სამხედრო გემებისა და ჯარების დახმარებით, რისი წყალობითაც რუს ტურისტებს შეუძლიათ თავისუფლად დაისვენონ ამ მიწაზე, სადაც ჯერ კიდევ ცოცხალია წეს-ჩვეულებანი, რომლებიც გამოიხატება რიტუალურ ქცევებსა და ბუნების ძალებისადმი თაყვანისცემაში.

დრო და დრო საქართველო ხელში იგდებს თურქეთის სატვირთო გემებს, რომლებსაც მიაქვთ ბენზინი ან გამოაქვთ აფხაზეთიდან ხე-ტყე. აფხაზეთი ამას „მეკობრეობას“ უწოდებს. სასაზღვრო საგუშაგოებით აფხაზეთი ღებულობს სტუმრებს და აწარმოებს თავისი მთავარი საქონლის – მანდარინის ექსპორტს. მოსკოვი აფინანსებს მის ბიუჯეტს და აბანდებს კაპიტალს სხვადასხვა ინფრასტრუქტურაში. სახელმწიფო ნავთობის კომპანია „როსნეფტი“ აპირებს აწარმოოს სადაზვერვო გეოლოგიური სამუშაოები ზღვის სანაპიროზე.

აფხაზები იყენებენ რუსულ რუბლსა და რუსეთის პასპორტებს, რომლებიც ვლადიმერ პუტინის ხელუხვობით გადაეცემათ აფხაზებს.

ომის შედეგად აფხაზეთის მოსახლეობა შემცირდა, შეიცვალა მისი ეროვნული შემადგენლობა. 215 ათასი მცხოვრებიდან აფხაზი დარჩა 96 ათასი (44,6 პროცენტი) და თითქმის 45 ათასი სომეხი (20,1 პროცენტი). ოფიციალური მონაცემებით, ქართველები, რომლებიც სსრ კავშირის დაშლამდე ყველაზე მრავალრიცხოვანი სათემო იყო ამ რეგიონში, ამჟამად ითვლის 43 ათას კაცს. ტურისტები ხშირად ჩერდებიან კერძო სექტორში, მაგრამ მომსახურების ფასები თანდათან იზრდება.

კანონი კრძალავს უცხოელებისთვის მიწის მიყიდვას, მაგრამ შეძლებული რუსები იყენებენ ცალკეულ პიროვნებებს და სხვა პირობებს, რათა შეიძინონ ნაკვეთები მაშინ, როდესაც არაკეთილსინდისიერი პირები ადგილობრივი მცხოვრებლებიდან შედიან სახლებში, რომლებიც ქართველებმა მიატოვეს.

აფხაზეთის პოლიტიკური კლანი იმდენად პრორუსულია, რომ მოსკოვთან სამხედრო შეთანხმებებს აქ შიშით



უყურებენ. ამ ხელშეკრულებათა საფუძველზე რუსებმა „მიიღეს ბევრი უფლება და პრაქტიკულად აღარ ექვემდებარებიან აფხაზეთის კანონმდებლობას“, ამტკიცებს ინალ ხაშიგი, ადგილობრივი გაზეთის მთავარი რედაქტორი.

„რუს მესაზღვრეებს შეუძლიათ მოახდინონ თავიანთი საცხოვრებელი სახლების პრივატიზაცია აფხაზი სამხედროების თანაბრად. ასე რომ, 15 წლის შემდეგ აქ ჩამოსახლდება კიდევ 30-40 ათასი კაცი“, მიაჩნია ხაშიგს.

„თუ რუსი სამხედროები დაარღვევენ კანონს, მაშინ აღმოჩნდებიან რუსეთის კანონმდებლობის ქვეშ და არა აფხაზური კანონმდებლობის ქვეშ“, ამტკიცებს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა. ამას გარდა რუსეთის სამხედრო ნაწილები იმყოფებიან ჩვენი სამართალდაცვის მოქმედების ზონის გარეთ, ვინაიდან აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს არ აქვთ უფლება შევიდნენ მისი დისლოკაციის ადგილებში“, დაუმატა მან.

შარშან დეკემბერში ხელახლად არჩევის შემდეგ სერგეი ბაღაფშმა განიმტკიცა თავისი პოზიციები. არჩევნების დროს იყო დარღვევები, მაგრამ დემოკრატიის დონე აფხაზეთში გაცილებით უფრო მაღლაა, ვიდრე რუსეთში. ამას ხელს უწყობს პროგრესულად მოაზროვნე ადგილობრივი ინტელიგენცია, კრიტიკულად განწყობილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი და სულისკვეთებით ყველაზე დემოკრატიული ადგილი სოხუმში: ბარი „ბრეხალოვკა“, რომელიც ბულვარში მდებარეობს, სადაც ხალხი განიხილავს უკანასკნელ მოვლენებს დილიდანვე. ცხარე დისკუსიებმა წარმოქმნეს ბაღაფშის გეგმები გააფორმოს ხელშეკრულება რუსეთის რკინიგზასთან აფხაზეთში სანაპირო სარკინიგზო ხაზის რეკონსტრუქციის შესახებ. როგორც ოპოზიციას მიაჩნია, ეს იმის თანაბარძალოვანია, რომ მოსკოვს აჩუქოს მთელი სანაპირო.

მიუხედავად კრემლის მხარდაჭერისა, აფხაზეთმა არ დაივიწყა ეკონომიკური ბლოკადა, რომელიც 90-იან წლებში პრეზიდენტმა ბორის ელცინმა შემოიღო, რათა აეძულებინა აფხაზეთი დაედო ხელშეკრულება საქართველოსთან. ამის გამო აფხაზეთი აწარმოებს „მრავალვექტორიან“ პოლიტიკას. „კონფიდენციურად ყოველთვის ვეუბნები ჩემს ევროპელ კოლეგებს, რომ ჩვენ გვინდა თანასწორობა, მაგრამ არ გვსურს, რომ რუსეთის გავლენა უფრო დიდი იყოს. ჩვენ გვსურს, რომ აქ იყვნენ სხვები, თურქეთი, ევროპა, ამერიკის შეერთებული შტატები, ყველა“, – ამტკიცებს აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა.

„მივიტანოთ ევროპამდე ჩვენი პოზიცია – აი, უპირველესი ამოცანა, მაგრამ ევროპელებმა არ იციან, თუ როგორი ურთიერთობა დაამყარონ ჩვენთან“, – ამბობს შამბა. ევროსაბჭოში უარს ამბობენ „დაინახონ სინამდვილე და ფიქრობენ, რომ თუ რუსეთმა ჩვენ გვაღიარა, მათთვის ეს სავალდებულო არ არის. გარკვეული წრეები რუსეთში მაინც ფიქრობენ, რომ ჩვენ შევალთ ამ ქვეყნის შემადგენლობაში და ამისთვის მათ სჭირდებათ, რომ ჩვენ არ გაგვაჩნდეს სხვა შესაძლებლობანი“.

აფხაზები სიამაყით ლაპარაკობენ თავიანთი თვითმყოფადობის შესახებ, მაგრამ კეთილსაიმედო ვითარება, რომელშიც ისინი ამჟამად ცხოვრობენ, არ იძლევა იმის საბაბს, რომ შეიქმნას „ნამდვილი სახელმწიფო“. დღევანდელ პირობებში აფხაზური ენა გაქრობის საფრთხის წინაშეა და არ შეუძლია „კონკურენცია გაუწიოს რუსულ ენას“, – აღნიშნავს ფილოლოგი და პრეზიდენტის მრჩეველი ვიაჩესლავ ჩირიკბა. აფხაზეთის საზოგადოება ახდენს „მშობლიური ენის თვითმკვლელობას“ და მიდის იქითკენ, რომ რუსული ენა გახდება ერთადერთი, – აღნიშნავს იგი.

რუსულ ენაზე მიმდინარეობს სასკოლო საგნების უმეტესობის სწავლება, ამ ენაზე მიმდინარეობს სხდომები პარლამენტში, ქვეყნდება კანონები და ხორციელდება რეკლამა. „თუ არ შევინარჩუნებთ ენას, მაშინ რისთვის გვჭირდება დამოუკიდებლობა?“ სვამს შეკითხვას ფილოლოგი.

2010 წელს აფხაზეთს განზრახული აქვს გააუმჯობესოს დიპლომატიური ძალისხმევა ლათინურ ამერიკაში, სადაც მას გამოუჩნდა თანამგრძნობი ვენესუელის პრეზიდენტის უგო ჩავესის სახით.

ამრიგად, სეპარატისტებს არ სურთ ყური დაუგდონ ვლადიმერ პუტინის აზრს, რომელმაც ერთხელ განაცხადა, რომ აფხაზეთისთვის საკმარისია აღიარება რუსეთის მხრიდან. კრემლი არ აწარმოებს მუშაობას იმისთვის, რომ სხვა ქვეყნებმა აღიარონ აფხაზეთი, მაგრამ თუკი ეს ხდება, რუსეთის საელჩო გვიწევს დახმარებას, ამტკიცებს შამბა, მაგრამ ეს მანამდე, სანამ მსგავსი აღიარებანი ატარებს უფრო ეგზოტიკურ ხასიათს, არ უქმნის დაბრკოლებებს რუსეთის პოლიტიკას.

**EL PAIS**

# შიში უფროსი შვილის გამო

**საქართველო პოლიციურ სახელმწიფოდ გადაიქცა, მიუხედავად მისი ლიდერების დარწმუნებისა, რომ ისწრაფვიან ევროპულ სტრუქტურებში გაერთიანებისთვის. მდგომარეობა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ქვეყანაში ყველაზე დაბალ დონეზეა.**

თბილისში თვალში გხვდება კონტრასტები. მთავრობის რეზიდენციაში პერსონალურ კომპიუტერებს უსხედან ჯინსებში გამოწყობილი ახალგაზრდები. ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, 32 წლის ეკა ტყეშელაშვილი თავისუფლად საუბრობს ინგლისურ ენაზე ამერიკული აქცენტით, სხვაგვარად როგორ შეიძლება – საქართველო ხომ აპირებს გახდეს ევროსაბჭოს და ნატოს წევრი. „ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენს დემოკრატიულ და ეკონომიკურ რეფორმებს, ჩვენ ვაშენებთ ევროპულ ქვეყანას“, – ამბობს იგი.

ეს ერთი მხარეა, მეორე კი დამახასიათებელია იმ რაიონებისთვის, სადაც აშენებულია საბჭოთა საპანელო მრავალსართულიანი სახლები. აქ პოლიციური თვითნებობა ბატონობს. მაგალითად, 2004 წლის ივლისში დაახლოებით დილის 4 საათზე პოლიციელები შეიჭრნენ სახვაძის ოჯახის ბინაში და ჩხრეკის დროს შეუგდეს იარაღი, რის შემდეგაც თან წაიყვანეს უფროსი ვაჟიშვილი ზურაბი. იგი სპორტსმენია, გვიამბობს მისი მეუღლე ნინო. თუ სპორტსმენი არ არის, ჩვეულებრივად მას ნარკოტიკებს უგდებენ.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრ რეგიონში ხელისუფლება ბოროტად იყენებს ძალას. ორგანოების თანამშრომლები ჩრდილოეთ კავკასიაში იტაცებენ ხალხს და მკაცრად ეპყრობიან მათ. მოსკოვში იკრძალება ოპოზიციის ღონისძიებანი და თუკი ისინი მაინც გაიმართა, ხელკეტები მზადაა. უზბეკეთში – ცეცხლსასროლი იარაღი. თბილისში მოქმედებენ არცთუ ასე აშკარად.

გაზაფხულზე ქალაქის ცენტრში ოპოზიცია აწყობდა მრავალდღიან პროტესტებს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ. უშიშროების ორგანოების წარმომადგენლები უმეტეს შემთხვევაში არ იყენებდნენ ძალას, მაგრამ იღებდნენ ძალიან ბევრ ფოტოს. როდესაც საღამოობით მომიტინგეები სახლებში ბრუნდებოდნენ, მოსახვევებში მათ აჩერებდნენ პოლიციის რაზმები და პროფესიონალურად უსწორდებოდნენ. ქართველი ოპოზიციონერები წლობით სხედან ციხეებში. როგორც წესი, იარაღის ან ნარკოტიკების შენახვისთვის.

დასავლეთის თვალში საქართველო სანიმუშო მოსწავლეა. საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო „დოინგ ბიზნესი“ მას მე-11 ადგილზე აყენებს ინვესტიციურად ყველაზე მიმზიდველ ეკონომიკებს შორის. შედარებისთვის: გერმანია ამ რეიტინგში 25-ე ადგილზეა. მაგრამ საქართველო იმავე მე-11 ადგილზეა დაპატიმრებულთა ოდენობით ერთ სულ მოსახლეზე – 423 ასი ათას მცხოვრებზე. მეზობელ სომხეთში, რომელიც არ არის ევროსაბჭოში შესვლის კანდიდატი, 122 პატიმარი მოდის 100 ათას მცხოვრებზე.

„პოლიციელები ხშირად ბანდიტების როლში გვევლინებიან, რომლებიც იტაცებენ მოქალაქეებს მათგან ფულის გამოძალვის მიზნით“, – ნათქვამია საქართველოს ერთ-ერთი სამართალდაცვის ორგანიზაციის მოხსენებაში. შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ, მათ ათავისუფლებენ. ზურაბს, საერთაშორისო დონის სპორტსმენს, ჰქონდა ის, რისი წაღებაც შეეძლოთ.

იარაღის უკანონო ტარებისთვის, რაშიც ბრალს სდებენ ზურაბს, საქართველოში გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. „ერთხელ დილით პროკურორმა დამირეკა“, – გვიამბობს მისი დედა ელენე. ის დაგვპირდა, რომ გამოუშვებდნენ მის შვილს, თუ შუადღემდე ოჯახი გადაურიცხავდა მითითებულ ანგარიშზე 10 ათას დოლარს. ოჯახმა გადაიხადა ეს თანხა და შვილი გაათავისუფლეს, რომელსაც მხოლოდ ერთი თვალი ჰქონდა ჩალურჯებული.

მაგრამ შემდეგ უბედურება არჩილს ეწვია, უმცროს შვილს. იგი თამაშობდა თბილისის ფეხბურთის გუნდ „ლოკომოტივში“. 2005 წლის ივნისში სპორტის სასახლეში ის მეგობრებთან ერთად აღმოჩნდა რამდენიმე ახალგაზრდასთან დავაში. ისინი გამოვიდნენ გარეთ და ერთ-ერთმა უცხომ მოულოდნელად დააძრო პისტოლეტი. არჩილმა რამდენიმე ჭრილობა მიიღო ფეხზე, მისი ორი მეგობარიც დაიჭრა. ყველანი რეანიმაციაში აღმოჩნდნენ. არჩილის საფეხბურთო კარიერა ამით დამთავრდა.

მაგრამ ნამდვილი კოშმარი ნახევარი წლის შემდეგ დაიწყო. სახვაძის ოჯახში კვლავ გამოჩნდნენ პოლიციელები. ამჯერად მათ არჩილი წაიყვანეს. ჭაბუკი გვარიანად სცემეს, მას ყურებიდან სისხლი სდიოდა. პროკურატურამ კვლავ შესთავაზა გამოესყიდათ მისი თავისუფლება, მაგრამ უკვე არა ფულით. არჩილს მოსთხოვეს მიეცა ჩვენება იმ ხალხის წინააღმდეგ, ვისაც იგი არც კი იცნობდა. მან უარი თქვა.

ამის გამო თვით მას დასდეს ბრალი დანაშაულში. 2005 წლის დეკემბერში მან თითქოს ყური გაუხვრიტა პოლიციელს ტყვიით. მიუხედავად ყოველივესი და ალიბის უქონლობისა, 2007 წელს არჩილს 7 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

მწარეა საშინაო უშიშროება საქართველოში. ეს არის კოქტეილი სახელმწიფო ინტერესებისგან, გამოძალვა და სხვა საბჭოთა გეგმიური წეს-ჩვეულებანი. მისი მეთოდია უკანონობა.

არჩილს შემდეგ სხვა ბრალდებებიც წაუყენეს, ამჟამად იგი ციხეშია. მისი ძმა უცხოეთში გაიქცა. იმიტომ, რომ სააკაშვილის საგარეო ლიბერალიზმის უკან პოლიციური სახელმწიფო იმალება.

**შტეფან შოლი**

**Frankfurter Rundschau**

## დედამიწის ზურგზე




**ღორის გრიპი – ასწლეულის ერთ-ერთი სამედიცინო აფერაა, მიაჩნიათ ევროსაბჭოში**

ეპიდემიოლოგმა ვოლფგანგ ვოდარგმა დააყენა წინადადება, გამოიკვლიონ იმ ფარმაცევტული კომპანიების საქმიანობა, რომლებსაც შეეძლოთ გაეზარდათ დაავადების საფრთხე გამოძალვის მიზნით. ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები უარს ამბობენ ვაქცინებზე, რუსეთში კი ამის შესახებ არ ფიქრობენ. რა ვითარებაა საქართველოში?

* * *

**პენტაგონი მზად არის საფრთხის შემთხვევაში მიაყენოს დარტყმა ირანის ბირთვულ ობიექტებს**

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ცენტრალური სარდლობის ხელმძღვანელი გენერალი დევიდ პეტრეუსი აღნიშნავს, დარტყმის ეფექტიანობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ, როგორ და რა საშუალებით იქნება მიყენებული დარტყმა. პეტრეუსმა აღნიშნა, რომ მოვლენათა ასეთი განვითარება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა დიპლომატიური ზომები შედეგს არ გამოიღებს.



* * *

**სარა პეილინი მოეწყო ტელეარხ „ფოქს ნიუსის“ კომენტატორად**

ალიასკის ყოფილი გუბერნატორი და ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი აწერს ხელს კონტრაქტს ახალ ხელმძღვანელთან. ამიერიდან მას ექნება საშუალება გამოთქვას თავისი ავტორიტარული აზრი და შეფასება მისცეს მოვლენებს, რომლებიც ხდებიან პოლიტიკასა და ბიზნესში, ახალი ამბების პროგრამებში და სხვა საშუალებებში.



* * *

**ფლორიდაში ყინვების გამო იღუპებიან ნიანგები და პითონები**

აგრეთვე ზღვის კუები და ლამანტინები. ამას გარდა იყინებიან სითბოს მოყვარული იგუანები. აი, უკვე რამდენიმე დღეა ამ ტროპიკულ შტატში თერმომეტრის სკალა ნულს დაბლაა. შედეგად ფორთოხლისა და გრეიფრუტის მოსავალი წელს შეიძლება 30 პროცენტით შემცირდეს.

* * *

**ობამა ქმნის გუბერნატორების საბჭოს: რესპუბლიკელები და დემოკრატები იქ თანაბრად იქნებიან**

გუბერნატორების სამსახურის ვადა საბჭოში იქნება ორი წელი ადგილების შეცვლის შესაძლებლობით. საბჭოს წევრების დანიშვნის უფლება ეკუთვნის პრეზიდენტს. იგივე განსაზღვრავს, თუ ვინ დაიკავებს თანათავმჯდომარის პოსტებს. ასეთი თანამდებობა იქნება ორი – დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიებიდან.



# სიცილი ხელს უწყობს იმუნიტეტის გაძლიერებას

# იხითხითეთ, იხითხითეთ, ოხუნჯებო!

„... თუ გსურთ გაიცნოთ ადამიანი და ჩასწვდეთ მის სულს, ჩასწვდეთ არა იმას, თუ როგორ დუმს იგი, ან თუ როგორ ლაპარაკობს, ან თუ როგორ ტირის, ან თუ როგორ განიცდის კეთილშობილ იდეებს, არამედ უყურეთ მას მაშინ, როდესაც იცინის. კარგად იცინის კაცი — მაშასადამე, ის კარგი კაცია“.

თ. დოსტოევსკი

უეჭველია, რომ სიცილს აქვს ძლიერი ფსიქოტროპული ზემოქმედება, სხვაგვარად როგორ შეიძლება ავხსნათ ჟ.მოლიერის სიტყვები: „თუგინდ მცემეთ, მაგრამ მომეცით სიცილის საშუალება“?

## პორტრეტი სიცილის მიხედვით

**შეიძლება, რომ შევქმნათ სიცილის კლასიფიკაცია? შევეცადოთ ამის გაკეთებას ხმოვანი და ემოციური ვიბრაციების საფუძველზე**

**1. სიცილი „უ“-ზე — „უჰ-უჰ-უჰ“:** აქ სიცილისგან თითქმის არაფერი დარჩენილა — ასეა, ერთი შეხედულება. ადამიანი, თითქოს ძირსდავარდნილი ზარნაშოაო, ცდილობს სიცილით დათრგუნოს საკუთარი განგაში. ჩვეულებრივად, ესენი არიან ადამიანები უსიამოვნო წინათგრძნობებით, მშიშრები, ზოგჯერ კი — ხელმრუდებიც.

**2. სიცილი „ო“-ზე — „ჰო-ჰო-ჰო“:** გრუხუნისმაგვარი ჰომეროსული ხარხარი, ხშირად თავშეკავებული, პირდაპირ უზომო. იქნებ დამცინავი ან პროტესტის გამომხატველი, მაგრამ ყოველთვის თავის თავში დარწმუნებული ადამიანისა. ზოგჯერ გაისმის, როგორც ტრაბახი და დამუქრება, ირონიული ეჭვის, კრიტიკული გაოცების, პროტესტის ელფერით.

**3. სიცილი „ი“-ზე — „ჰი-ჰი-ჰი“:** ირონიისა და ღვარძლიანობის ნაზავი. სიცილი ფარული, ეშმაკური, თავდაჭერილი — ერთგვარი ფარული მქირდავი ქირქილი (ზოგჯერ მას სარკასტულს უწოდებენ).

**4. სიცილი „ე“-ზე — „ჰე-ჰე-ჰე“:** არც თუ სიმპათიური, ხმადაბალი დაცინვა. მოკლე, განაწამები, მკრთალი. ხშირად ახასიათებს გამოცდილ პირფერებს შეფის სიცილის პასუხად, ანდა მოიცავს რაღაც გამომწვევს, თავხედურს, შურიანს — ცარიელი გრიმასაა: რაც ხშირად გაისმის ხმოვანი „ე“, მით მეტი ღვარძლი, უზრდელობა, ზიზღია. ასე მოცინარი ხალხი იცავს ცნობილ დისტანციას მოსაუბრესთან დამოკიდებულებაში.

5. სიცილი „ა“-ზე — „ჰა-ჰა-ჰა“: აი, ეს არის ნამდვილი სიცილი! გულიდან მომდინარე, გარშემო მყოფებთან სრულ ჰარმონიაში, დაუფარავი სიხარულის. სიცილი — ფართოდ გაღებული პირით. ასე იცინიან ნამდვილად მხიარული და კეთილი ადამიანები.



## მასულდგმულებელი და... მასაქმებელი საშუალება

**მედიკოსებმა დიდი ხანია შეამჩნიეს, რომ სიცილი — ბევრი დაავადების მკურნალობის შესანიშნავი საშუალებაა**

●საფრანგეთში ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ სიცილი... აახალგაზრდავებს ორგანიზმს! მისი გავლენით უმჯობესდება შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მოქმედება, გვეხსნება თავის ტკივილი და დაღლილობა, ნორმალური ხდება არტერიული წნევა, გული კეთილსასურველ რიტმში მუშაობს.

●ფრანგი ექიმი ფელიქს ბრემონი სიცილში ხედავს შესანიშნავ საშუალებას ღვიძლისა და ნიკრისის დაავადებათა სამკურნალოდ.

●ნორვეგიელი პროფესორის კარლ რუდალის გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ სიცილი არაჩვეულებრივად ამაგრებს მკერდსა და მუცლის პრესს, ავითარებს მხრების შემოწერილობის კუნთებს და საერთოდ მთელი ორგანიზმის ერთგვარი დოპინგია.

## ჯანმრთელნი რომ დავრჩეთ, დღეში, სულ ცოტა 17-ჯერ მაინც უნდა გავიცინოთ

●თურმე სიცილი — საუცხოო მასაქმებელია. იმ ადამიანებს, ვისაც არ გააჩნიათ იუმორის გრძნობა, უფრო ხშირად აწუხებთ კუჭის შეკრულობა, ვიდრე ხუმარებს. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ „გაუცინარ ხელმწიფეებს“ უფრო ხშირად ემართებათ სტრესები, რაც ასევე თრგუნავს საკვების გადამამუშავებელ სისტემას.

**ჰა-ჰა**

**ექიმთან პაციენტი მივიდა:**
**— ექიმო, მუცლის ქვედა ნაწილი მტკივა.**
**— რა ჭამეთ?**
**— „ბაუნტი“:**
**— სამოთხეში, სამოთხეში!**

● როგორც ირკვევა, სიცილის მასულდგმულებელი თვისებები ჭეშმარიტად უსაზღვროა, რაც, ალბათ, გახდა კიდეც ამერიკაში თერაპევტული იუმორის ასოციაციის შექმნის საბაბი.

ნევროპათოლოგი ბარილ ბიტმანი, ფსიქონეიროიმუნოლოგიის (დარგი, რომელიც სწავლობს ემოციების იმუნურ სისტემაზე გავლენასძ ერთ-ერთი დამფუძნებელი მიიჩნევს, რომ სიცილის თერაპია გვეხმარება მნიშვნელოვნად გავამყაროთ ორგანიზმის იმუნური ფუნქცია, მათ შორის არსებითად ავამაღლოთ იმ ანტისხეულებისა და უჯრედების დონე, რომლებიც ანადგურებენ ავთვისებიან წარმონაქმნებს, და ძნიან საიმედო ბუნებრივ დაცვას სერიოზულ დაავადებათა წინააღმდეგ. ავადმყოფების სისხლის გამოკვლევათა მათ მიერ წარმოდგენილი შედეგები იუმორისტული ვიდეოფილმების ნახვამდე, ნახვის დროს და შემდეგ, დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ.

## დაცვა შიშისგან

**როგორ მოქმედებს სიცილი ფსიქოლოგიურ დონეზე?**

**— გვათავისუფლებს ყალბი განწყობისა და სტერეოტიპებისგან, ცხოვრების გარკვეული წესისადმი მიდრეკილებისგან, უკვე მოძველებული გრძნობებისა და ემოციებისგან.**

● სიცილი, უწინარეს ყოვლისა, ზრდის ფსიქიკური ჯანმრთელობის დონეს, ჯანსაღი სული კი აძლიერებს სომატიკურ, ანუ სხეულის ჯანმრთელობას.

●ხუმრობები და ანეკდოტები გვეხმარებიან არა მხოლოდ იმაში, რომ



ავითვისოთ ადამიანური ღირებულებანი, არამედ იმაშიც, რომ მხიარულად დავემშვიდობოთ დრომოჭმულ წარსულს.

●ახლის შეცნობის დროს კი ადამიანი სიცილის საშუალებით თავს აღწევს შიშს იდუმალების წინაშე.

●განსაკუთრებით სასარგებლოა სიცილი საკუთარ თავზე. თუ კაცი უკვე იცინის, მაშასადამე, მან შეძლო ამაღლებულიყო საკუთარ პრობლემებზე, თავი დაეღწია მათგან, გადაექცია ისინი პიროვნებითობად, ნიშნად.

## სიხარულის ჰორმონების წყარო

**როგორ მოქმედებს სიცილი ფიზიოლოგიურ დონეზე?**

● უწინარეს ყოვლისა, სიცილის დროს იცვლება სუნთქვა: იგი ხდება ხანმოკლე, წყვეტილი და უფრო ღრმა. წარმოიქმნება ფილტვების ჰიპერვენტილაცია, მაშასადამე, ტვინში მიდის მეტი ჟანგბადი. იქმნება თავისებური მორფინული ეფექტი. ამას გარდა, ადამიანი განიცდის კმაყოფილებას ჰორმონალურ დონეზეც სისხლში ეგრეთ წოდებული სიხარულის ჰორმონის — ენდორფინის ზრდის გამო. ორგანიზმი ამგვარად თავისუფლდება დაძაბულობისგან, ღებულობს განტვირთვას.

**ჰა-ჰა**

**მაღაზიაში შერბის გაავებული მყიდველი და ყვირის:**
**— შეხედეთ ერთი, რა შემომაჩეჩეთ! გუშინ თქვენთან ვიყიდე ეს მომღერალი ჩიტუნა, არადა, თურმე ფეხი აქვს მოტეხილი!**
**— მერე რა მოხდა? — გაოცებულია გამყიდველი. — თქვენ ხომ მომღერალი იყიდეთ და არა ბალერინა!**

**ჰა-ჰა**

**— სანამ მკურნალობას დავიწყებდეთ, — ეუბნება ექიმი ფსიქიატრი პაციენტს, — უნდა ვიცოდეთ ყველაფერი თქვენი ცხოვრების შესახებ. დაიწყეთ სულ თავიდან.**
**პაციენტი ერთ წუთს დაფიქრდა და თქვა:**
**— მაშასადამე, თავდაპირველად მე შევქმენი ცა და დედამიწა...**

## ცხოვრების მაგალითი

ამერიკელი მწერალი ნ.კაზინსი ავად იყო ანკილოზური სპონდილიტით (ხერხემლის შემაერთებელი ძსოვილის რღვევაძ — ეს დაავადება პრაქტიკულად განუკურნებლად მიიჩნევა. მისმა ექიმმა მისი გამოჯანმრთელების შანსი შეაფასა ერთი ხუთასთან. კაზინსმა ასე განსაჯა: თუ უარყოფითი ემოციები დაავადებათა უმრავლესობის მიზეზია, მაშასადამე, დადებითმა უნდა მოახდინოს გამოჯანმრთელების სტიმულირება. და დაიწყო... მკურნალობა სიცილით: საავადმყოფოდან გადავიდა სასტუმროში, სადაც ცხოვრება დუღდა და არაფერი გახსენებდა ავადმყოფობას, უყურებდა საუკეთესო კინოკომედიებს, კითხულობდა იუმორისტულ ჟურნალებსა და წიგნებს. თანდათანობით მას დაუბრუნდა მოძრაობის უნარი, გაუუმჯობესდა ჯანმრთელობის სხვა მაჩვენებლებიც. დაავადებამ უკან დაიხია.

● თუმცა რეაქცია ზომიერი უნდა იყოს. სიცილი ხომ — ამავე დროს დატვირთვაცაა. თუ განუწყვეტლივ ვიცინებთ რამდენიმე საათის განმავლობაში, არა მხოლოდ შეიძლება დავიღალოთ, არამედ რაღაც ჩავიწყვიტოთ კიდეც მუცელში, მოვკვდეთ. მეცნიერებმა დაადგინეს: ადამიანს შეუწყვეტლივ შეუძლია იცინოს მაქსიმუმ ერთი საათი.

●როგორილაა მაინც „სიცილის აბების“ სასარგებლო დოზა? ინგლისელი ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ეს უფასო წამალი უნდა გამოვიყენოთ დღეში დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში. მაშინ შეგვეძლება ვიყოთ მშვიდი, გონიერი და ენერგიული. აი, ექიმმა პეტარ ბოკანმა დაადასტურა, რომ ჯანმრთელი რომ ვიყოთ, ქალებმა დღის განმავლობაში უნდა იცინონ — 13-16-ჯერ, კაცებმა კი — სულ ცოტა 17-ჯერ! ქალები ხომ ცხოვრების სიძნელეს უფრო იოლად იტანენ!

## საიდუმლო იარაღი

სიცილი — მართლაც იარაღია. და მისი ძლიერი მუხტის წყალობით, სისულეებსა და ფარისევლობას, შიშსა და ძალადობას რომ უმკლავდება, გადარჩა და, ყველაფრის მიუხედავად, აგრძელებს ცხოვრებას ადამიანთა მოდგმა.

Аргументы и факты

**კერძო აზრი**



## თოვლის პაპა:

**— ყოველთვის კარგ გუნებასა და განწყობილებაზე ვარ. თქვენც რომ მუდამ სული მზით გქონდეთ აღსავსე (ძლიერ ყინვაშიც კი), გირჩევთ, ჩემო ძვირფასებო: ისწავლეთ ერთმანეთის გაგება, მათი, ვინც თქვენს გვერდითაა. გჯეროდეთ, ამით უფრო უკეთესად იქნებით და ცხოვრებაც ნამდვილ ზღაპრად გადაგექცევათ! და კიდევ: ჩემო კარგებო, გთხოვთ, გემუდარებით, დააფასეთ თქვენს თავში სიკეთე, სიყვარული და გაგება, იმიტომ რომ სწორედ ეს თვისებები ქმნიან იმას, რასაც თქვენვე სასწაულს უწოდებთ. ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ! მარად თქვენი და თქვენი ერთგული ქართველი თოვლის პაპა (სანტა-პანტა კლაუს-აუსვში არ შეგეშალოთ!).**

ფეხბურთი

# სენსაციები სტარტზე

**გემახსოვრებათ, როგორ მძაფრ ბრძოლაში მოიპოვეს ალჟირელებმა წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური. მაშინ მათ თვით ეგვიპტელებს გადაუღობეს მუნდიალისაკენ მიმავალი ბილიკი.**

და აი, დაიწყო აფრიკის ეროვნებათა თასის გათამაშება და ერთ-ერთმა ფავორიტმა სენსაციური მარცხი იწვნია მალავის გუნდისაგან — 0:3. სხვათა შორის, ამ უკანასკნელებმა მომავალი ფორუმის შესარჩევი რაუნდის 6 შეხვედრაში ერთადერთი გოლი გაუშვეს. როგორც დასტურდება, ეს კანონზომიერი ფაქტი ყოფილა. დავძენთ, რომ მათ მეტოქეებს რამ-



დენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდათ — ეტყობა, ალჟირელთა მწვრთნელებმა თავიანთი ვარსკვლავების დასვენება და ტრავმებისგან მოფრთხილება გადაწყვიტეს — წინ ხომ სამხრეთ აფრიკის საზაფხულო ბატალიებია.

არანაკლებ მოულოდნელობად შეიძლება შეფასდეს კოტ დივუარისა და ბურკინა ფასოს ეროვნული გუნდების მატჩის შედეგი — 0:0. დროგბა, ზოკორა, კოლო ტურე, კალუ, იაია ტურე, ებუე და კომპანია უნაყოფოდ ცდილობდნენ საწადელის მიღწევას, რაც სათუოს ხდის ტურნირის წინ გამოთქმულ მოსაზრებას ვაჰიდ ჰალილხოჯიჩის შეგირდთა საჩემპიონო ამბიციების საფუძვლიანობის თაობაზე.

თუმცა, მოდით, ნუ ვიჩქარებთ დასკვნების გამოტანას — „შავი კონტინენტის" ტალანტების დათვალიერება ხომ ესესაა დაიწყო და მთავარი მოვლენები ჯერაც წინაა.

ძიუდო

# ცირეკიძემ, ტატამს ვტოვებო!..



**ქართულ ძიუდოს ბევრი გამორჩეული ჩემპიონი ჰყოლია, მაგრამ შედეგებით ქუთაისელ ირაკლი ცირეკიძეს მაინც ვერავინ შეედრება. რომ არაფერი ვთქვათ მის სხვა წარმატებებზე, სასახელოდ ისიც ეყოფა, რომ 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონობას შარშანწინ პეკინში ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალიც მიუმატა (რაც აქამდე ვერც ერთმა ქართველმა ძიუდოისტმა ვერ შეძლოძ, ორჯერ გუნდურ მსოფლიოს პირველობაზე გაიმარჯვა.** თითქოს, სხვა რა უნდა ინატროს სპორტსმენმა, მაგრამ 27 წლის ათლეტს ჯერ კიდევ ბევრ შეჯიბრებაში შეეძლო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა, ლონდონის 2012 წლის თამაშებზეც კვლავ უმთავრესი ჯილდოსთვის ებრძოლა. მან კი მოულოდნელად დიდი სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა — თებერვალში პარიზის ტურნირს ვიჭიდავებ და სარბიელს დავემშვიდობებიო. პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში მიზეზად უმოტივაციობა დაასახელა — თითქოს ვგრძნობ, რომ ტატამზე გასვლა აღარ მინდა, სავარჯიშოდ განწყობა და შემართება მაკლიაო.

ირაკლი ცირეკიძის სიტყვებს მიღმა სინანულიც გამოსჭვივის, რაც იმის იმედს გვიტოვებს, რომ სახელოვანმა სპორტსმენმა, იქნებ, გადაწყვეტილება შეცვალოს. მით უმეტეს, რომ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე თითოეულ ქვეყანას ყოველ წონაში ორ-ორი საუკეთესოს გამოყვანის უფლება მისცა. ცირეკიძის მსგავსი გამოცდილი მოჭიდავეები ქართულ სპორტს აუცილებლად სჭირდება.

ჭადრაკი

# ქალებში ორხელისუფლებიანობაა

**ქუთაისსა და თბილისში გრძელდება საქართველოს მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატები, რომლებშიც საპრიზო ადგილებისთვის 14-14 წარმომადგენელი იბრძვის.**

რიონისპირა ქალაქში ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია ნანა ძაგნიძემ, რომელიც ტურნირზე რეიტინგით პირველია.



ამჯერად მან ნინო ხურციძესთან წააგო. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: სოფიო ხუხაშვილი — ქეთი წაწალაშვილი 1:0, თამარ წერეთელი — მაია ლომინეიშვილი 0,5:0,5, მაკა ფურცელაძე — ინგა ხურცილავა 1:0, ნინო ბაციაშვილი — მერი არაბიძე 1:0, მირანდა მიქაძე — ანა გავაშელი 0,5:0,5, სალომე მელია — ბელა ხოტენაშვილი 1:0. სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ხურციძე და ბაციაშვილი ლიდერობენ. მეწინავეებს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან მიქაძე, წერეთელი და მელია.

თბილისში სტარტი აიღო ვაჟთა ჩემპიონატმა. მასში სხვადასხვა მიზეზით არ ასპარეზობენ ევროპის შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი ბაადურ ჯობავა და მიხეილ მჭედლიშვილი. ტურნირის საპრიზო ფონდი აქაც 13 500 ლარია. აქედან გამარჯვებული 4000 ლარს, მეორეადგილოსანი — 3500, III — 3000, IV — 2000, V — 1000 ლარს მიიღებს.

**პირველი ტურის შედეგები კი ასეთია:** თორნიკე სანიკიძე — ლუკა პაიჭაძე 0,5:0,5, დავით ბენიძე — დავით არუთინიანი 0,5:0,5, ბეგლარ ჯობავა — კონსტანტინე შანავა 1:0, მალხაზ სულაშვილი — გაიოზ ნიგალიძე 0:1, დავით ჯოჯუა — მერაბ გაგუნაშვილი 0:1, თამაზ გელაშვილი — გიორგი მარგველაშვილი 0,5:0,5, ზურაბ ჯავახაძე — ლევან ფანცულაია 0,5:0,5.

სუმო

# ჰაკუჰომ აჯობა



**იაპონიის დედაქალაქში დაიწყო სუმოისტთა მნიშვნელოვანი შეჯიბრება — იანვრის ბაშო.** უმაღლეს დივიზიონში ორი ქართველი მონაწილეობს — ლევან გორგაძე (ტოჩინოშინიძ და ლევან ცაგურია (კოკაიძ. პირველ წრეში ორივე ჩვენებური დამარცხდა. მეორეში გორგაძემ იმპერატორის თასის ამჟამინდელ მფლობელ ჰაკუჰოსთან დათმო ორთაბრძოლა, ცაგურიამ კი მე-8 მაეგაშირა ტოკიტენკუს აჯობა.

ძუროის დივიზიონში თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ) ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა.

პროფესიული კრივი

# აიაჩოშიც იმარჯვა

**დათო არჯევანიშვილმა პროფესიულ რინგზე კარიერა შარშან დაიწყო და სამი ორთაბრძოლაც გამართა, საიდანაც ორი მოიგო და ერთიც ფრედ დაამთავრა.**



ნაახალწლევს კი კორსიკულ ქალაქ აიაჩოში არჯევანიშვილმა ფრანგი მურად ფრარემა დაამარცხა — ექვსრაუნდიან პაექრობაში მეტოქეს ქულებით აჯობა.

ინტერნეტიდან

## იტალია ებრძვის რასიზმს

**ერთხელ კიდევ დაიწყო იტალიამ ფეხბურთის სტადიონებზე რასიზმთან ბრძოლა. 11 იანვარს შინაგან საქმეთა მინისტრმა რობერტო მარონიმ ისევ მოუწოდა იტალიის ფეხბურთის ფედერაციას, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ამ სამარცხვინო მოვლენას. მინისტრის ასეთი გამოსვლის მიზეზი გახდა ვერონაში მარკ ანტონიო ბენტეგერის სახელობის სტადიონზე მომხდარი შემთხვევა, სადაც ადგილობრივი „კიევო" მე-8 ტურში 6 იანვარს ილებდა მილანის „ინტერს".**

შეგახსენებთ, რომ გაიმარჯვეს სტუმრებმა — 1:0. ერთადერთი გოლი მასპინძელთა კარში გაიტანა „ინტერის" განური წარმოშობის თავდამსხმელმა მარიო ბალოტელიმ, რის შემდეგ „კიევოს" ფანატებმა ობსტრუქცია მოუწყეს მუქკანიან ფეხბურთელს, რის საპასუხოდაც „ინტერის" გულშემატკივრებმა სტვენა დაუწყეს „კიევოს" ბრაზილიელ ნახევარმცველ ლუსიანოს.

რობერტო მარონიმ აღნიშნა, რომ მსჯები მოვალენი არიან, შეწყვიტონ ეროვნული ჩემპიონატის მატჩი, როდესაც გულშემატკივრები ასე იქცევიან: „დარწმუნებული ვარ, რომ ფედერაცია მოვალეა, მიიღოს უმკაცრესი ზომები, თუნდაც რასიზმის მინიმალური გამოვლინება შეინიშნებოდეს", — თქვა მინისტრმა.






## დალაშქრეს ყველაზე მშრალი უდაბნო

**აფრიკიდან სამხრეთ ამერიკაში „გადასახლებული" რალი-რეიდის „დაკარის" მონაწილეებს ამ დღეებში მსოფლიოში ყველაზე მშრალი უდაბნოს ატაკაბის, რასაკვირველია, ამავე დროს ანდების არგენტინა-ჩილეს სახელმწიფო საზღვრის გადალახვა მოუხდათ. ეს ერთ-ერთი უძნელესი ეტაპი იყო ისედაც ურთულესი მრავალდღიანი ავტოგადარბენისთვის.**

დასვენების დღისა და 8 ეტაპის შემდეგ მსუბუქ ავტომანქანებში ლიდერობენ ესპანელები საინსი და კრუზი, მათ „ფეხდაფეხ" მიჰყვება ყატარულ-გერმანული წყვილი ალა-ატანია-გოტშალკი. მოტოციკლეტებში წინ არიან ფრანგი დეაპრე და ნორვეგიელი ულევალსეტერი. სატვირთო ავტომანქანებში კი ლიდერობს „დაკარის" ხუთგზის გამარჯვებული ჩაგინის ეკიპაჟი, მას ისევ რუსების გუნდი კაბიროვის მეთაურობით მოჰყვება.

ასეთი მდგომარეობა იყო ბუენოს-აირესის ფინიშამდე 6 ეტაპით ადრე.

## ევას საახალწლო საჩუქარი

**ამჟამად დიდ ბრიტანეთში მცხოვრებმა, ცნობილმა პოლონელმა მოდელმა იგა ვირვალასმა, უპირატესად ევად რომ იცნობენ, არ დაივიწყა საახალწლო ტრადიციები.**

ხომ იცით, წინასაახალწლოდ ზოგი აბანოში მიდის, უფრო მეტნი ბაზარსა თუ მაღაზიებში. ყველა ცდილობს თავისი ჩვეულებისა თუ ჩვეულებების დაცვას. მას არც ევა ღალატობს. აბა, ახალი წელი როგორ დადგება მისი მორიგი კალენდრის გარეშე, რომელშიც პოლონელი ლამაზმანი ძალზე პიკანტურად ჩანს.



20 წლის ქალიშვილმა უკვე მოასწრო თავისი კალენდრის გამოშვებაც და კრიალა ჟურნალების ფურცლებზე გამოჩენაც. ასე რომ სულ უფრო პოპულარული ხდება.

საწყენი ისაა, რომ მას მაინც და მაინც დიდ ყურადღებას არ აქცევენ პოლონეთის ნაკრების ფეხბურთელები. მათი მგზნებარე თაყვანისმცემლის — ევას ბრალი ხომ არაა, ისინი მსოფლიო ჩემპიონატზე რომ ვერ მოხვდნენ?

ქველმოქმედება



# საახალწლო საჩუქრები მოხუცებისთვის...

**ვაკე-საბურთალოს რაიონში მცხოვრები მარტოხელა, მარჩენალ-დაკარგული მოხუცებისთვის ერთი სასიამოვნო შეხვედრა მოეწყო. არასამთავრობო საქველმოქმედო ორგანიზაცია „ფესვების“ ხელმძღვანელმა ნანა ხელაშვილმა შობა-ახალი წელი მიულოცა მოხუცებს და საჩუქრებიც გადასცა. შეხვედრის ორგანიზებაში დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის მერს გიგი უგულავას.**

ბუნებრივია, გაწეული ქველმოქმედებისთვის დიდი მადლობა დაიმსახურა ქალბატონმა ნანამ. ეს არ იყო პირველი, რაც ამ ორგანიზაციამ გააკეთა და არ იქნება უკანასკნელი, რაც მთავარია...

**სურათზე: ნანა ხელაშვილი მოხუცებთან შეხვედრისას.**

**ჯავარ ლომაძის ფოტო.**

ალმოჩენა

# ამაზონის ჯუნგლებში მიაგნეს

**არქეოლოგებს მიაჩნიათ, რომ წააწყდნენ გამქრალი ცივილიზაციის ნაშთებს. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ მას შემდეგ რაც ბრაკონიერებმა გაჩეხეს ბრაზილიისა და ბოლივიის საზღვართან გაუვალი ჯუნგლები, მიაგნეს ათასწლობით დაფარულ უცნაურ „ნახატებს“.**

— ალმოჩენა ალმოჩენას მოსდევს, — ამბობს ბრაზილიის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი დენიზ შაანი, — გამოსახულებიანი, ეგრეთ წოდებული გეოგლიფები (geoglyphsძ ჩანს კოსმოსიდან გადაღებულ ფოტოებზეც (Google Farth imagesძ. უკვე ნაპოვნია 260 გამოსახულება. ესაა ხაზები და გეომეტრიული ფიგურები — კვადრატები, ბევრი კუთხოვანები, კონცენტრირებული წრეები, ისინი თითქოს ჩაჭედილი არიან ნიადაგში.

„რუ-თხრილების“, გეოგლიფებს რომ წარმოქმნიან, სიგანე თითქმის 11 მეტრი აქვს, სიღრმე — 1-დან 2-მეტრამდე. ფიგურების ზომა 90-დან 300 მეტრამდეა.

მეცნიერთა აზრით, პირველი ნახატები უნდა შექმნილიყო დაახლოებით 2 ათასი წლის წინათ, ხოლო ბოლო — ჩვენი წელთაღრიცხვის XIII საუკუნეში. ისინი შექმნეს აქ მცხოვრები უცნობი ცივილიზაციის წარმომადგენლებმა, მაგრამ რაღაც გამოუცნობი მიზეზით, ისევე როგორც ნასკას პლატოზე.

ამაზონური გეოგლიფების უმრავლესობა მკაცრად ჩრდილოეთისკენაა ორიენტირებული. ისინი შესრულებულია დიდი სიზუსტით.

არის ჰიპოთეზა, რომ მათ რაღაცა სახით იყენებდნენ ასტრონომიული დაკვირვებისთვის ან აზომვისთვის.

ახლადაღმოჩენილი ნახატებიდან თითქმის 200 კილომეტრზეა ინკების ძველი ცივილიზაციის ზოგიერთი ობიექტი. თუმცა გასაოცარია, რომ მათთან რაიმე საერთო არ აღმოუჩენიათ.



**სურათზე: გამქრალი ცივილიზაციის ერთ-ერთი გეოგლიფი.**

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

წუთისოფელი ასეა...

# ბედი ჯიმშერ ენუქიძისა

**იყო და არა იყო რა... ულამაზესი თბილისქალაქის ულამაზეს ვერისუბანში ცხოვრობდა ულამაზესი მამაკაცი ულამაზესი ოჯახით... ჩვენი კოლეგა იყო იგი — შესანიშნავი სპორტული ჟურნალისტი ჯიმშერ ენუქიძე... რამდენი სასიამოვნო წუთი და საათი გაგვიტარებია ამ ოჯახში ჯიმშერის მეგობრებს. ქალ-ვაჟს შეჰხაროდნენ ისა და მისი სათნო მეუღლე, ქალბატონი ეთერი — ერედველი ფავლენიშვილის ქალი. დაოჯახდნენ შვილები, კიდევ უფრო გახალისდა ოჯახი — შვილიშვილები ეზრდებოდათ... უმშვენიერესი ქალიშვილი ირინა სვანმა ვაჟკაცმა გურამ გირგვლიანმა „მოსტაცა“ ჯიმშერს (ო, რა წყვილი იყო, ერთ რამედ ღირდა მათი გავლა ვერაზე, რუსთაველზეძ... ზრდიდნენ დედისერთა სანდროს ირინა და გურამი, კარგ ქართველად ზრდიდნენ... თურმე, რა უბედურება ეწერა წერა-მწერალისგან სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა კაცს, თურმე, სწორედ მისი უბედურებით იწყებოდა ჯიმშერ ენუქიძისა და გურამ გირგვლიანის ოჯახების დაქცევა...**

**დღეს უკვე მთელმა საქართველომ იცის, დღეს უკვე სტრასბურგამდეა ჩასული სანდრო გირგვლიანის არაადამიანური მკვლელობის საქმე...**



**დანა პირს არ უხსნიდა ჯიმშერს, რაც შეეძლო გვერდით ედგა თავის ძუ ვეფხვივით შემართულ ქალიშვილს — ირინას, რომელმაც უამრავი შაოსანი დედა აიყოლია, მთელი საქართველო გვერდით დაიყენა უსამართლობის პირისპირ... აბა, რას გახდებოდა უსამართლო ქვეყანაში, დარდმა დაავადმყოფა, მალე მიჰყვა თავის უბედურ სანდროს...**

**დარდით გულგასიებულ, თითქმის დაუძლურებულ ჯიმშერს, რაც შეეძლო უვლიდა მეუღლე — ისიც ავადმყოფი... თუმცა ვეღარ გაძლო დედის, ბებიის დანაღვლიანებულმა გულმა, მალე ქალიშვილთან და შვილიშვილთან წავიდა იმ ქვეყნად ქალბატონი ეთერიც...**

**მთლად მარტო დარჩა ჯიმი, მართალია ვაჟიშვილი გოგი და მისი ოჯახი მოვლას არ აკლებდნენ, ცხადია, აკითხავდა ცოლშვილმკვდარი სიძეც — გურამ გირგვლიანი, ჩვენც, ახლო მეგობრებიც ხშირად შევუვლიდით ხოლმე... ჯიმი, რა გასაკვირია, მაინც მარტო იყო თავის ენით აუწერელ ტრაგედიას შეგუებული...**

**ჰოდა, აბა, რამდენ ხანს უნდა გაეძლო ამდენი სიავის მომსწრე, ოთხმოც წელს გადაცილებულ კაცს?..**

**ისიც წავიდა, ამ ერთი წლის წინათ დაგვემშვიდობა — გალეული, ცხოვრების დასალიერგაუბედურებული ჩვენი ძმა...**

**გუშინწინ მისი გარდაცვალების წლისთავი გადაიხადა გოგი ენუქიძემ... ვიწრო წრემ — უახლოესმა ნათესავ-მეგობრებმა ჭირის სუფრაზე მოიგონეს ჯიმი: არჩილ გოგელიამ, ვაჟა ჟღენტმა, ვლადიმერ კანკავამ, დემიკო ლოლაძემ და სხვებმა ისაუბრეს მის კაიკაცობაზე, მის ოჯახზე, ჟურნალისტურ ნიჭიერებაზე, იმ ენითაუწერელ ტრაგედიაზე, რასაც სიცოცხლის ბოლო წლებში შეესწრო ჩვენი დაუვიწყარი მეგობარი...**

**გარეთ იანვრის საღამოს სუსხი იდგა...**

**ვილენ მარდალეიშვილი**


## ა უ ქ ც ი ო ნ ი

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე I ლოტად**

**I ლოტი. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ციხისძირის ტერიტორიაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 140.00 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი № 72.10.03.054).**

**საწყისი გასაყიდი ფასი — 1 მ.კვ. 7,60 (შვიდი ლარი, 60 თეთრი) ლარი.**

**აუქციონის „ბე“ შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 20 %-ს.**

**აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის — 10%-ს**

**აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს — 50 ლარს**

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. № 73. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 12 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

„ბე“-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ.კოდი 236094196 ანგ. № 33030024 სახალხო ბანკი, ბანკის კოდი 220101415

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ.მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ.№ 73. ტელ 8(27-32) 51-27-27, 899 22-65-33, 899 34-50-85.**

***მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.***


## გახსენება

### მამუკა (ილია) ბასილაშვილი

შვიდი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შენ აღარ ხარ ჩვენთან. ყველას ძალიან მოგვენატრე, ყოველდღე ვიხსენებთ შენთან გატარებულ დღეებს. ჩვენთვის ძალიან ძნელია უშენოდ ყოფნა, ღმერთს ვევედრებით ყველანი, რომ შენი სული ნათელში იყოს იმქვეყნიურ საქართველოში.

შენი საყვარელი ოჯახი


**შპს „საქართველოს საარბიტრაჟო-სამომრიგებლო პალატის“ პარტნიორთა კრების ოქმი №1 შპს „საქართველოს საარბიტრაჟო-სამომრიგებლო პალატის“ დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.**

**შპს „საქართველოს საარბიტრაჟო-სამომრიგებლო პალატის“ დებულებაში შევიდეს ცვლილება:**

დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-15 მუხლი **„გარდამავალი დებულებები“:**

**1. 2010 წლის 01 იანვრიდან გაუქმდეს შპს „საქართველოს საარბიტრაჟო-სამომრიგებლო პალატის“ დებულების ყველა ის მუხლი, ან მუხლის ცალკეული პუნქტი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის 2010 წლის 01 იანვრიდან ამოქმედებულ „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან.**

**2. 2010 წლის 01 იანვრიდან მიღებული საქმეების განხილვა მოხდეს „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით“.**



# არბიტრაჟის უწყება
# საქმე №141-2009

**თამარ კობიაშვილს, თბილისი, გალის №7,** საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი **2010 წლის 25 იანვარს, 15.30 საათზე,** მისამართზე — თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №50, მე-2 სართული, გიბარებთ მოპასუხის სახით საქმეზე **ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“** საარბიტრაჟო პრეტენზიის გამო **ხათუნა ალფაიძის და სხვათა მიმართ** თანხის დაკისრების და ქონების რეალიზაციის შესახებ.

**გამოუცხადებლობის შედეგები**

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად, თუ გამამართლებელი მიზეზების გამო მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში ან არ წარმოადგენს თავის პოზიციას მხარეთა მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეორე მხარე ითხოვს განხილვის გადადებას.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 7.7 მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო 7.3 მუხლით დადგენილი წესით, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დასწრების გარეშე. თუ მხარე საპატიო მიზეზით ორჯერ არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს შემდგომ სხდომაზე თავისი ან თავისი წარმომადგენლის სავალდებულო და აუცილებელი დასწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განიხილება მისი დასწრების გარეშე.



**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში“

**99-62-77; 899 32-85-76.**

## ყველაფერი ყველაფერზე

### სხვა დრო დადგა, თემატიკა ამოწურა



**ისააკ ბაბელი სამუდამოდ შევიდა ლიტერატურის ისტორიაში თავისი „ცხენოსანი არმიითა“ და „ოდესური მოთხრობებით“. მათ დღესაც დიდი ინტერესით კითხულობენ.**

დიახ, მაგრამ ბაბელის „ოდესა“ ხომ სულ ოთხი მოთხრობისგან შედგება, სულ 28 გვერდია. მაგრამ მკითხველი მას მაინც მოზრდილ წიგნად წარმოიდგენს. მოთხრობები ისეთი ოსტატობით არის დაწერილი, რომ მისი გმირები სამუდამოდ გამახსოვრდებათ.

ბაბელმა საერთოდ ცოტა დაწერა. ლიტერატურათმცოდნეები ხშირად მარჩიელობენ, რატომ? იმიტომ, რომ მწერალმა თავისი თემატიკა ამოწურა, ისე, სხვათა შორის წერა კი არ ისურვა.

### „ბალზაკის ასაკი“



**ბალზაკს ის-ის იყო შეუსრულდა ოცი წელი, როდესაც თავდავიწყებით შეუყვარდა 45 წლის ლორა ბერნი (როგორც ახლა ამბობენ, „ბალზაკის ასაკის“ ქალიძ, 7 შვილის დედა.** ბერნი, გონებამახვილი და ირონიული ქალბატონი, სრულიადაც არ მალავდა თავის ასაკს და მწარედ დასცინოდა თავის ჭაბუკ შეყვარებულს. შემდეგ მან შეიცვალა აზრი, მიატოვა თავისი ოჯახი და ყოველმხრივ ეხმარებოდა ბალზაკს მის ლიტერატურულ და კომერციულ საქმეებში.

ბალზაკს დიდხანს არ დავიწყებია ქალბატონი ლორა ბერნი. 1836 წელს, როცა ბერნი უკურნებელმა სენმა შეიპყრო, მწერალმა თავის დედას მისწერა: „მწუხარებამ თავზარი დამცა. ქალბატონი დე ბერნი კვდება“.

### გლეხი იყო და გლეხად დარჩა



**რომის ისტორიაში ერთ-ერთი გამოჩენილი იმპერატორი ვესპასიანე წარმოშობით გლეხი იყო. შეიძლება სამუდამოდ გლეხად დარჩენილიყო, ჯარში რომ არ გაეწვიათ.** თავი რომ გამოიჩინა, გახდა ცენტურიონი (ასისთავიძ, ლეგატი (ეს უკვე დაახლოებით გენერალიაძ, ბოლოს იმპერატორიც კი. მეტად ყაირათიანი, ანგარიშიანი მმართველი იყო, ფულის ყადრიც იცოდა. რომაელი არისტოკრატები დასცინოდნენ, მაგრამ მათ ვინ უყურებდა.

ბევრი გაოცდა, როცა იმპერატორმა საზოგადოებრივ საჭირო ადგილებზე, ანუ ტუალეტებზე გადასახადი შემოიღო. ასეთი რამ რომში არასოდეს მომხდარა, რა საკადრისიაო. განსაკუთრებით აღშფოთდა ვესპასიანეს უფროსი ვაჟი ტიტუსი, რომელზეც მამამ იზრუნა და კარგი განათლება მიაღებინა. როცა მამასთან მივიდა და საყვედურიც არ დაუმალავს, ვესპასიანემ ცხვირთან ლითონის ფული მიუტანა და ჰკითხა: „განა ამას შარდის სუნი უდის“. აქედანაა საყოველთაოდ ცნობილი გამოთქმა: „ფულს სუნი არ უდის!“.

### „მგელი ბეწვს იცვლის და არა ბუნებას“



**ამ მშვენიერ ლათინურ სენტენციას არაერთი ქართულიც შეესატყვისება“:** 1. მგელს რომ შვიდი ტყავი გააძრო, მაინც მგელიაო. 2. არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა. 3. ან როგორც ვაჟა ამბობდა: „მგელი დაიშლის მგლობასა?“.

მოამზადა
**გივი გამრეკელმა**

## დღის კალენდარი

### 13 იანვარი

**32-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ოთხშაბათი.**



ამოდის 07.27
ჩადის 16.53



ამოდის 06.08
ჩადის 03.07

**წარგზავნა ქრისტეს შობის დღესასწაულისა. მართლისა იოსებ დამწმინდელისა. დავით მეფისა ფსალმუნთა მთქმელისა, და მოციქულისა იაკობისა, ძმისა უფლისა. ხსენება ღირსი მელანია რომაელისა (429ძ; ღირსი საბიანასი, სამცხის დედათა მონასტრის წინამძღვრისა.**

**მსგეფსი.**

#### დაიბადნენ:

**1622 – ჟან ბატისტ მოლიერი,** დიდი ფრანგი დრამატურგი და მსახიობი.

**1815 – ლავრენტი არდაზიანი,** მწერალი. გარდაიცვალა 1870 წელს.

**1862 – ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძეძ,** ისტორიკოსი, პუბლიცისტი, გარდაიცვალა 1918 წელს.

**1872 – ნინო ნაკაშიძე,** მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1963 წელს.

#### გარდაიცვალნენ:

**86 წელი ჩვ.წ-მდე – გაიუს მარიუსი,** რომის კონსული და მხედართმთავარი.

**1941 – ჯეიმს ჯოისი,** ირლანდიელი მწერალი.

**1987 – იგორ ილინსკი,** ცნობილი რუსი მსახიობი.

#### მოვლენები:

**1610 წელი** – გალილეო გალილეიმ აღმოაჩინა იუპიტერის მეოთხე თანამგზავრი, რომელსაც კალისტო უწოდა.

**1830 წელი** – პეტერბურგში დელვიგის რედაქტორობით გამოდის „ლიტერატურნაია გაზეტას“ პირველი ნომერი.

**1910 წელი** – ოპერა პირველად გადაიცა რადიოთი – ნიუ იორკის ოპერის თეატრის სცენაზე მღეროდა ენრიკო კარუზო.

**1958 წელი** – ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა ლაინუს პოლინგმა გაეროს გადასცა მსოფლიოს 43 ქვეყნის 9.000 მეცნიერის მიერ ხელმოწერილი პეტიცია ბირთვული იარაღის აკრძალვის შესახებ.

**1991 წელი** – ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს ტელეცენტრი, დაიღუპა 14 ადამიანი.

**1993 წელი** – პარიზში 130 ქვეყნის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს კონვენციას ქიმიური იარაღის დამუშავების, წარმოების, დაგროვებისა და გამოყენების აკრძალვის შესახებ.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**რუსეთი** – პრესის დღე.

**ლიტვა** – თავისუფლების დამცველთა დღე.

**მედიანიუსი**

**რეკლამა**
**„საქართველოს რესპუბლიკაში“**
**გ. ახვლედიანის ქ. №19.**
**99-62-77; 899 32-85-76.**



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6997 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4306 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7222 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.6309 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.4979 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1164 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1286 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1574 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4900 ლარი |



### ამინდი დღეს



| | |
|---|---|
| თბილისი. | +3 – +7 |
| ქუთაისი. | +13 – +15 |
| ბათუმი. | +14 – +17 |
| ზუგდიდი. | +12 – +14 |
| თელავი. | +3 – +8 |

## კადრი



## ანეკდოტები

– მიხო, რამდენი წელია ცოლიანი ხარ?
– ათი წელიწადია.
– ვინ გაგაცნო შენი ცოლი?
– არავინ. შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს ქუჩაში. ასე რომ, ამაში ვერავის დავადანაშაულებ.

* * *

– გუშინ გოგო გავიცანი, – ეუბნება პეტკა ივანიჩს.
– როგორ გამოიყურება?
– დაახლოებით სამასი გრამი არყის ეკვივალენტურად.

* * *

– აი, როცა დაქორწინდები, შვილო, მაშინ მიხვდები, რა არის ბედნიერება, – ეუბნება მიხოს მამამისი.
– ჰო-ო?
– ჰო, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იქნება.



* * *

– მიხო, რადა ხარ ასეთი მსუქანი?
– იმადა, რომ საუზმეს თავად ვჭამ, სადილს მეგობრები მიყოფენ, ვახშამს კი მტრები მითმობენ.

* * *

მამაკაცის გაგება შეიძლება, მაგრამ უმჯობესია მისი შექება.
ქალის გაგება შეიძლება, მაგრამ უმჯობესია, არ გაუგო.

* * *

– მიხო, ნახე შენს მეზობელს როგორ ჩასძინებია, თეატრის ნაცვლად თავი „სპალნაში“ ჰგონია! – ჩქმეტს ძმაკაცი.
– მერე ამის სათქმელად გამაღვიძე?!

* * *

– ვაშა, მიწა! – წამოიყვირა ჩაძირული გემის მგზავრთაგან ერთადერთმა გადარჩენილმა, როცა კუნძულს მიადგა.
– ვაშა, ხორცი! – იყვირეს კუნძულელმა აბორიგენებმა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.